ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი 21 მაისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 6 მ. 50 კ. ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერთათვის ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოიგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 101 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 101

ვასილი და ნიკიფორე ალექსის ძენი, ჰოპლე თედორეს ასული, ნატალია ილიას ასული და სიდონია ესტატეს ასული შვილებითურთ გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველის დედის, მეორეების დედამთილის და მესამესი რძლის

**ბარბალე ივანეს ასულ ხომასურიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 21 მაისს წმ. ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 5 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარი სახლიდან (ვაკე, 1-ლი ქუჩა) დილის 9 საათზე წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (ვერაზე), სადაც გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი.

ქალაქთა კავშირის № 51 ლაზარეთი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ძვირფას თანამოსამსახურის

**პეტრე ლუკას ძე აბალიანის**

გარდაცვალებას. გამოსვენება სამშაბათს 21 მაისს დილით 11 საათზე ლაზარეთის სადგომიდან (მიხეილის ქ № 123) კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, დაკრძალვა იქვე. 1—1

გულ დაკოდილნი: დედა ელისაბედ კაცია ასული ცქიტიშვილისა, ძმები: პორფილე და ერმილე, რძლები: ნინა და ეფროსინე, დები: დესპინე ამბაკოს ასული, ლიზა, მართა და პელო, სიძეები: ილიკო გიორგის ძე კვაჭაძე და სამსონ ხელაძე აუწყებენ—ნათესავთ და მეგობრებს პირველთა უსაყვარლესი—შვილის და მეორეთა ძმის და ცოლისძმის

**გიორგი ამბაკოს ძე კვაჭაძის**

უდროოთ დაკარგვას, რომელიც მოხდა 5 აპრილს ნატანებ და ქობულეთ შუა პირველ შეტაკებაზე დიდი ბრძოლის დროს. პანაშვიდი გადახდილი იქნება 13 მაისს სოფ. ორაგვეში (გურია) წმ. გიორგის ეკლესიაში.

## ამიერ-კავკასიის ბედი

ყველა ერს, ხალხს, სახელმწიფოს, იმდენათ უწევენ ანგარიშს, რამდენათაც მას ძალა შესწევს და შეუძლია თავის ინტერესები იარაღით ხელში დაიცვას. ამიერ-კავკასიის მდგომარეობა ამ მხრით მეტად უნუგეშოა.

ორი მთავარი მიზეზი აუძლურებს მას. ერთია მისი ეროვნული შემადგენლობა, მეორე დიდი ხნის ომით მოქანცულობა.

სამ ერთაგან, რომელნიც შეადგენენ აქ ძირითად მცხოვრებლებს, მუსულმანებს ან უკეთ მუსულმანთა ბეგებს თვალი ოსმალეთისკენ აქვთ, მისგან ელიან თავის დახსნას იმ არეულობისაგან, რომელსაც აგრარული მოძრაობა ეწოდება. სამწუხაროთ მუსულმანთა მასსის დიდი ნაწილი, სარწმუნოებრივი ფანატიზმით გატაცებული, სავსებით ემორჩილება ბეგების პროვოკაციას და მათთან ერთად მიილტვის იქით, სადაც ბეგებს ბატონობა მოელის, ხოლო მათ მონობის მძიმე უღელი—ე. ი. ოსმალეთის ქვეშევრდომისაკენ. სომხები, რომლის დემოკრატია არა ნაკლებ ყავს შეპყრობილი სომხის ნაციონალისტურ პარტიას, მთელ თავის ძალღონეს თათართა წინააღმდეგ ბრძოლას ანდომებს. მას სხვა გზა და ხიდი ვერ გამოუნახავს თავის არსებობის დაცვისათვის. თვით რევოლიუციურმა ქარტეხილმაც კი ვერ გამოაცოცხლა მას ეს ისტორიულად შემუშავებული ეს შეუბრალებელი ნაციონალური ბრძოლის, ერთმანეთის ჟლეტის, უცხო სახელმწიფოთა დაპირებების გამო შინ აჯანყებების მოწყობის.

მხოლოდ ქართველებს არ აქვთ ჯერჯერობით ასეთი ურთიერთობა მეზობელ ერებთან. მაგრამ მათ არ შესწევთ ძალა ეს ეროვნული ალმური დააცხრონ თათარ-სომეხთა შორის და ამით ამიერ-კავკასიის მყუდრო ცხოვრების საშუალება მოუპოვონ. არ შესწევთ უმეტესათ იმიტომ, რომ 4 წლის საშინელმა ომმა მოქანცა ერის საუკეთესო ძალები რევოლიუციის ცეცხლმა შესვა აუარებელი ენერგია. თავდადებულმა მუშაობამ საერთოთ მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიის საკეთილდღეოთ შეიწირა უდიდესი ნაწილი მათი შრომის და ენერგიის. მარა აქაც ქართველი ერი არ წარმოადგენს ერთ მთელს. თუ სხვა ერებში თითქმის მთელი ნაცია მისდევს ნაციონალისტებს, აქ ერის უმრავლესობა გაჰყოლია სოციალ-დემოკრატიას. ხოლო ბურჟუაზიული და თავადური ნაწილი საზოგადოებისა—ბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ ჯგროშების გარშემო იკრიბებიან და მათი პოლიტიკა ისეთივე გამთიშველი, ერთა მოძულე და შოვინისტურია, როგორც მუსულმანთა და სომხის ერის ხელმძღვანელ პარტიების.

ამ რიგათ ორი ერის უმრავლესობა მხარს უმშვენებს ამიერ-კავკასიის საერთო საქმის დაღუპვაში ქართველი ნაციონალიზმი.

ეს სამი ძალა, როგორც ერთი მეორის უარმყოფელი, შეუგუებელი, შეუთვისებელი, ერთიმეორის შექმნას ლამობენ, მარა პირველათ ყოვლისა და უმთავრესად კი დემოკრატიის მთლიანობას და ამიერ-კავკასიის გაერთიანების იდეას ებრძვიან.

დემოკრატია მათთვის საერთო მტერია, მათი ბატონობის მთავარი მესაფლავე. და ამათ წინააღმდეგ საბრძოლველათ ეს ანტაგონისტები ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძვიან. დემოკრატიის დასამხობათ არც ერთი ძალღონეს არ იშურებენ.

ამ რიგათ ნაციონალურ ბრძოლის გვერდით არა ნაკლების სიმწვავით წამოჭიმულა კლასობრივი ბრძოლა. და ვინც უფრო ახლოს დააკვირდება ამ ნაციონალისტთა მოქმედებას, შენიშნავს, რომ მათი ნაციონალისტური პოლიტიკაც ერთიანათ ამ კლასობრივი ინტერესებით არის გამოწვეული, ამ ინტერესებით საზრდოობს.

მარა თავის ერის დემოკრატიის და საერთოთ შეერთებულ დემოკრატიის წინაშე ბრძოლა, მთავარი მამოძრავებელი მოტივია მათი მოქმედების. ამ დემოკრატიის შესამუსრავათ ისინი მზათ არიან უცხო ძალას მიმართონ, გარეშე მტერს თავი შეაფარონ, რესპუბლიკა და თავისუფლება წყალს გაატანონ.

და სამწუხაროთ დღევანდელ პირობებში მათი ძალა და გავლენა არც ისე მცირეა, რომ დემოკრატიამ მისი მოგერიება ადვილათ შეიძლოს. მარტო შინაურ ძალებთან რომ ქონდეს საქმე დემოკრატიას, იგი ეჭვი არაა თავისას გაიტანდა, მაგრამ აი აქ იწყება ტრაგედია, რომელსაც გარეშე ომი ეწოდება. აქ იწყება ახალი ძალის გავლენა, რომელიც ოსმალეთის ფაშების სახით მოგვევლინა. ეს უკანასკნელი ძალა, ამ ნაციონალისტებს თავის მხსნელათ აქვთ დასახული, რადგან იგი დემოკრატიის ბატონობისაგან ხსნას პირდება მათ. ამიტომ ნაციონალისტებში ოსმალეთი თავის ერთგულ მომხრეებს პოულობს.

მართალია სომხის ნაციონალისტები მათ ვერ შეურიგდებიან, მაგრამ იგინი არც დემოკრატიის გზას მისდევენ. ამიტომ მათი ანტიოსმალური პოლიტიკა ხშირათ თავის წინააღმდეგობაშივარდება და ოსმალეთის სასარგებლო ხდება თავის შედეგებით. იგი საშვალებას აძლევს ოსმალეთს საბაბი იშოვოს და ჩვენს რესპუბლიკაში შემოიჭრას.

ასეთ პირობებში იმყოფება დღეს ამიერ-კავკასია. მის ბედს სჭრის ისეთი ძალები, რომელნიც მის სასარგებლოთ არ ფიქრობენ.

დემოკრატიას არ აღმოაჩნდა საკმაო შეიარაღებული ძალა, რომ შინ და გარეთ შემოსეულ მტერს გამკლავებოდა. იგი ბრძოლის ველიდან გამარჯვებული ვერ გამოვიდა. და აი ახლა მისი ბედიც საზავო მოლაპარაკების ასპარეზზე წყდება, ე. ი. დიპლომატების ხელით იჭედება. ცხადია აქ წესთვის მხოლოდ ბორკილების გაჭედვას ექნება ადგილი. ცხადია, როგორიც უნდა იქნეს შედეგი ბათუმის მოლაპარაკების, იგი ყოველ შემთხვევაში არა ერთ და ორს უფლებებს აართმევს დემოკრატიას და შეიძლება მის სრულიად დამორჩილებათაც კი იქცეს.

მაგრამ როგორიც უნდა იყოს იგი, დემოკრატია ამით ფარხმალს არ დაყრის. დამარცხება მხოლოდ გაკვეთილაა, მწარე, საშინელ გაკვეთილათ იქნება მისგან გამოყენებული და მომავალში იგი მთელ თავის ენერგიით იზრუნებს ამ დამარცხების შედეგების გამოსასწორებლათ, დემოკრატია შეიძლება მხოლოდ დროებით დამარცხდეს. მისი საბოლოო გამარჯვება მაინც უზრუნველყოფილია. ახალ გაჭირვებათა ალში გამოიწრთობიან მისი ახალი მოძმენიც, რომელნიც დღეს მოწინააღმდეგე ბანაკის ხალხთ შეუგნებლათ მისდევენ. მწვავე გაკვეთილები გამოაფხიზლებს თათრის, სომხის და ქართველ დემოკრატიის იმ წრეებს, რომელთაც დღეს ვერ შეიგნეს სრული სიდიადე მომენტის მოთხოვნილების და უკან დაიხიეს, ან ერთიანათ ნაციონალისტთა რაზმში გადაბანაკდნენ—ცხოვრება საუკეთესო მასწავლებელია. დემოკრატიისთვის კი იგი საუკეთესო მერმისის გამომჭედიცაა.

## ამიერ-კავკასიის გარშემო

ამიერ-კავკასიის გარშემო მრავალი მტრები ირაზმებიან. ყველა დიდი სახელმწიფო მის მომავალზე ფიქრობს და დასახელებული კუთხის საკითხი ისე უნდათ გადასჭრან, როგორც მათ მოეპრიანებათ.

ამიერ-კავკასიის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები გვერდზეა მიგდებული და მას ანგარიშს არავინ არ უწევს.

ერთის მხრივ დგას გერმანიის კოალიცია და მისი მოკავშირე ოსმალეთი, მეორეს მხრით უკვე დამარცხებული და დასუსტებული „კომუნისტური" რუსეთი.

ბათუმში შეკრებილი ცენტრალურ სახელმწიფოების საზავო დელეგატები უკვე სამშვიდობო მოლაპარაკებას აწარმოებენ და თითქმის ჩვენდა დაუკითხავლათ ჩვენს ბედს სწყვეტენ.

თვით ბოლშევიკური რუსეთიც, როგორც „კომუნისტების" ლიდერები იუწყებიან, კავკასიაზე გამოსალაშქრებათ ემზადებიან, ჯარის შექმნას აპირობენ და უნდათ ამიერ-კავკასია კვლავ დაიპყრონ, კვლავ თავიანთი გავლენის ქვეშ დააყენონ.

ამ შემთხვევაში ორი ძალა ერთმანეთს უპირდაპირდება: ცენტრალური სახელმწიფოების კოალიცია და „კომუნისტური" რუსეთი.

იმას გარეშე, ამიერ-კავკასიას ჩრდილოეთიდან კვლავ ემუქრებიან და იგი არ უნდათ ცენტრალური სახელმწიფოების ხელში ჩააგდონ.

მაგრამ აქ გამარჯვებული ის გამოვა, რომელიც უფრო მილიტარისტულათ ძლიერია და მეტი უნარი შესწევს.

თავის თავათ საგულისხმოა, რომ ამიერ-კავკასიის დემოკრატიისათვის არც ერთი მოწინააღმდეგეს გამარჯვება არ არის ხელსაყრელი, უკეთესი იქნება, უკეთუ იგი დამოუკიდებელი დარჩება და ამა თუ იმ კოალიციაში თავისუფლათ, ძალდაუტანებლივ შევა.

მაგრამ ჩვენ ბევრს არავინ გვეკითხება, ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებს ანგარიშს არავინ უწევს. აქ გადამწყვეტ როლს ძალა ითამაშებს და ის გამოვა გამარჯვებული, ვინც თანამედროვე მსოფლიო ომში გამარჯვებულია.

ამ თვალსაზრისით ჩვენ ბოლშევიკური რუსეთის მუქარა ჯერ-ჯერობით საშიშრათ არ მიგვაჩნია და ისინი ახლო მომავალში იმდენ ძალას ვერ მოიკრებენ, რომ თავიანთი იმპერიალისტური პოლიტიკა სისრულეში მოიყვანონ. მხოლოდ ერთი რამ კი აშკარაა. „კომუნისტური" რუსეთი კვლავ დაპყრობის გზას ადგება, მან ერთა თვითგამორკვევის პრინციპი უკუაგდო.

ბოლშევიკებისათვის სოციალისტური პრინციპები, სოციალისტური ლოზუნგები მაცდური ნიღაბია, რომლის ქვეშ ჩვეულებრივი დაპყრობითი პოლიტიკა ეფარება. დაძაბუნებული და ყოველმხრივ დაქვეითებული ბოლშევიკური რუსეთი მილიუკოვების საგარეო პოლიტიკას აწარმოებს და დიდი სახელმწიფოს შექმნა მათ კვლავ მიზნათ დაისახეს. აბა, მაშ, რის „სახელმწიფოებრივი სოციალიზმის" მოტრფიალე იქნებიან ბოლშევიკები, თუ ისინი ბაზრების და ტერიტორიების გაფართოებას არ მოიწადინებენ.

სწორეთ ეს გარემოება უფრო მეტათ ჩააფიქრებს კარზე მომდგარ კოალიციას—ცენტრალურ სახელმწიფოების იმპერიალისტებს.

ჩვენ ვიცით, რომ გერმანიის კოალიციამ თავისი ისტორიული მისწრაფება—აღმოსავლეთისაკენ თავისი გავლენის სურვილი ჯერ-ჯერობით სისრულეში მოიყვანა და იგი ყოველ ღონეს ხმარობს ეს მისწრაფება ფაქტიურათ განამტკიცოს.

ჩვენ ხშირათ აღგვინიშნავს, რომ გერმანიას მიზნათ აქვს დასახული: ახლო აღმოსავლეთი თავის გავლენის ქვეშ იყოლიოს. და ამისათვის იგი სხვადასხვა კომბინაციებს აწყობს. მან უკვე რუსეთს დასავლეთით დამოუკიდებელ სახელმწიფოების რკალი შემოავლო და პოლონეთი, უკრაინა და სხვები დამოუკიდებელ ერთეულებათ აქცია.

დარჩა მხოლოდ ამიერ-კავკასია, რომელიც გზა და ხიდია აღმოსავლეთის და რომელიც ერთგვარ ერთეულათ უნდა გადაიქცეს, რომ აქედან მომავალში რუსეთი არ შემოიჭრას და მისი აღმოსავლეთის გეგმები არ ჩაშალოს. მაშასადამე, ამიერ კავკასიის ბედი და მისი მომავალი ფართო მასშტაბით სწყდება და აქ უმთავრეს როლს გერმანიის კოალიცია ითამაშებს.

შემცდარია ის აზრი, ვითომ ამიერ-კავკასიის შესახებ საკითხი ოსმალეთის ინტერესების მიხედვით სწყდებოდეს და გერმანია-ავსტრია-ბულგარეთი სხვათა შორის იყვენ დაინტერესებული.

ჩვენ არ ვიცით რა სახით გადასწყვეტენ ამიერ-კავკასიის საკითხს, მხოლოდ ეს კი აშკარაა, რომ ცენტრალურ სახელმწიფოების კოალიცია გერმანიის მეთაურობით ამიერ-კავკასიიდან შექმნის ისეთ პოლიტიკურსა და ეკონომიურ ერთეულს, რომლის გერმანიის აღმოსავლეთის მომავალ პოლიტიკას უზრუნველყოფს და მას ხანგრძლივათ განამტკიცებს.

ამიერ კავკასია გერმანიისთვის აღმოსავლეთში განვითარების საფეხურათ უნდა გახდეს და ამას იგი სისრულეში მოიყვანს.

## პრესა

ჩვენი ნაციონალისტები სიხარულით ფეხზე აღარ დგანან იმის გამო, რომ რუსეთის მთლიანობის დარღვევის შემდეგ ამიერ-კავ. მთლიანობაც ირღვევა. მათ ეს დიდ ბედნიერებათ და ღვთისწყალობად მიაჩნიათ.

„ნელა, მარა შეუჩერებლათ ვითარდებიან მოვლენები. სწერს „ვოზროჟდენიე" და „საქართველო თანდათან უახლოვდება დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებას. ცხოვრების მსვლელობამ ჯერ გაჰკვეთა გზები, რომელნიც აერთებდენ ჩვენს სამშობლოს მის დამმორჩილებელ რუსეთთან, გარეშე ძალების მეოხებით ირკვევა თვითმპყრობელობისაგან ხელოვნურათ შექმნილი კავშირი საქართველოსი აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიასთან და საკითხი საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადების შესახებ მორიგ საკითხად არის გადაქცეული და არავის მხრივ არ იწვევს არც წინააღმდეგობას, არც შიშს მომავლისას".

შემდეგ გაზეთი მოგვითხრობს, რომ ასი წლის წინეთ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწ. იყოო. ჩვენ აქ ისტორიულ დავას არ გამოვუდგებით. მარა ერთს კი ვიტყვით: არა გვგონია ისეთ დამოუკიდებლობას, როგორიც ამ ასი წლის წინეთ გვქონდა, ამ ასი წლის განმავლობაში რუსეთისაგან დამოკიდებულება არ ჯობდეს.

ახლაც დამოუკიდებლობის შესახებ აღტაცებული ლაპარაკი ზედმეტია. იგი მხოლოდ ნაციონალისტებს თუ მოუტანს სარგებლობას, რადგან მათ ზოგიერთ ანტიდემოკრატიულ გულისზრახვას განახორციელებს. ქართველ ერს კი, შეიძლება თამამათ ვთქვათ იგი არაფერს ხეირს დააყრის. ვინ ვერ შეატყობს, რომ დღევანდელ პირობებში საქართველოს დამოუკიდებლობა, მხოლოდ საშვალებას მისცემს ოსმალეთს დანარჩენ კავკასიის დაუყოვნებლივ დაეპატრონოს და ასე მუსულმანთა რკალში მოაქციოს სეპარატა დემოკრატიული კუთხე, რომელსაც ის ისე უყურებს, როგორც მშიერი პურს. მართალია თურქების მასსა კარგი თვალით უყურებს ქართველობას, რომელთაგან მას შეტაკებები არ ქონია, მაგრამ პოლიტიკაში ეს ფაქტორი ვერავითარ როლს ვერ ითამაშებს. აკი ამან არ შეუშალა ხელი ოსმალეთს არც ბათუმის დაპყრობაში, არც ოზურგეთის დარბევაში, არც ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში აჯანყებების მოწყობაში. რა საბუთი აქვს „ვოზროჟდენიეს", რომ შემდეგ მორჩილობის თვით თფილ. ასეთ აჯანყებებს არ მოაწყობენ და შემდეგ „დასამშვიდებლად" მათ ოსმალეთისთვის შეერთებას არ მოითხოვენ?

ცხადია, დამოუკიდებლობა არ იძლევა არავითარ გარანტიას გარეშე მტრისაგან. და თუ იგი მაინც განხორციელდა, ეს იქნება ახალი გამარჯვება თურქული პოლიტიკის ამიერ-კავკასიაში, როგორც მისი გამარჯვების შემდეგი იყო ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

* * *

სომხური გაზეთი „აშხატავორი" აღნიშნავს იმ ტრაგიკულ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა, რომლის გამო დიდ საფრთხეში ვარდება თვით მასში მცხოვრებელთა ფიზიკური სიცოცხლე. შინ გამთიშველი ძალები, დიდი ნაწილის მოღალატური პოლიტიკა, გარედან ოსმალეთის შეუბრალებელი ინტრიგა, ომი ზავის ჩამოგდების დროსაც კი და სხვა. ყველა ამას იმ დასკვნამდე მიყავს გაზეთი, რომ მას ასეთ პირობებში შეუძლებლათ მიაჩნია რეალური, ნამდვილი დამოუკიდებლობის შექმნა შვეიცარიის მსგავსათ: პირიქით მისი აზრით, აქ გავლენა რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს აუცილებელია და

„ნაკლები ბოროტება იქნება ისეთი ძალის ბატონობა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ხალხის მინიმალურ მოთხოვნილებას—მის ფიზიკურ არსებობას და ელემენტარულ მოქალაქობრივ თავისუფლებას".

კადეტების გაზეთი „ნაროდნაია სვობოდა" ასეთ ძალათ ხელში გვაჩეჩებს რუსეთს: აი მისი ბრძნული სიტყვები: „რუსეთი—აი ჩვენი ერთად ერთი ხსნა—და დაუყონებლივ მიმართვა მისდამი—აი მოთხოვნილება თვით ცხოვრების".

რუსეთის თავდაუჭერელ დამცველს და მისი მფარველობის მაქებარს შეეძლო ასეთი სიტყვებით ელაპარაკა, რომ რუსეთის კორპუსები მზათ იდგენ აქვე საომრათ გამზადებულნი. მაგრამ ბოლშევიკების დანგრეულ ქვეყნიდან, რომელიც თვით გერმანიის ყოველ ნაბიჯის წინაშე თრთის და მოწიწებით ლაქუცობს ჩაჩერინის ენა-წყლიანი პირით, განა რაიმე დახმარებას უნდა მოველოდეთ? სამწუხაროთ არა. და აი ამ გარემოებას უნდა მოეწეროს ისიც, რომ ოსმალეთი გვიბატონდება, ისიც, რომ ბათუმის მოლაპარაკებას არ შეუძლია რაიმე სასარგებლო შედეგი მოგვიტანოს; ისიც რომ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ და მისი შენარჩუნება გაგვიჭირდება.

სომხურ გაზეთ „აშხატავორს", რომელსაც ვერავინ დასწამებს დამოუკიდებლობით გატაცებას, და რომელიც ამ დამოუკიდებლობას არა ნაკლებ კრიტიკული თვალით უყურებს, ვინემ კადეტების ოფიციოზი, ასეთ აზრს გამოუთქვამს რუსეთის და თვით ინგლისის შესახებაც:

„რადგან არც რუსეთი ჩრდილოეთიდან არც ინგლისი სამხრეთიდან არ წარმოადგენდა საკმაო მოწინააღმდეგე გამათანაბრებელ ძალას, ამიტომ ამიერ-კავკასია ოსმალეთ გერმანიის გავლენის ქვეშ ვარდება". სრული სიმართლეა.

ერთის მხრივ მტერი პირდაპირ ნაღდი გვედგება, თოფ ზარბაზნებით გვემუქრება, მეორე მხრით კი ჩვენი მოკავშირეები და მფლობელთაგან არავითარი დახმარების იმედი არ არის.

განა ასეთ პირობებში მყოფ ერს დახმარების კიდევ რუსეთს ჩაეჭიდოთ? რასაკვირველია არა. და თუ კადეტები მაინც ამას გვირჩევენ, აქ ისინი ისეთივე პოლიტიკური მოსაზრებით ხელმძღვანელობენ, როგორც ოსმალები, აღმოჩნდნენ იმ დროს. განსხვავება ისაა, რომ ოსმალეთის პოლიტიკას იარაღი ახლავს, კადეტებისას კი მხოლოდ ბოლშევიკების ბუნებრივი...

ჩვენთვის ერთიც მიუღებელია და მეორეც. ამიტომ გასაკვირველი არაა, თუ ჩვენც „აშხატავორთან" ერთად მესამე გზა ვირჩიოთ...

# სოხუმის ამბები

19 მაისს სოხუმიდან ვალ. ჯუღელმა, პოლკ. კონიევმა და ალ. დგებუაძემ შემდეგი ცნობა გადმოსცეს თფილისში: „კოდორთან მისვლისათანავე ჩვენს რაზმს შემოეგება გუდაუთის და გუმისტინის ნაწილების დელეგაცია. ჩვენს რაზმს შეადგენდენ: თფილისის წითელი გვარდია, აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო რაზმი, ფოთის წითელი გვარდია, თან გვქონდა არტილერია. დელეგაციას ავუხსენით ჩვენი მიზანი. ჩვენს შესახებ იქ ბევრი პროვოკაციული ხმები იყო გავრცელებული. დელეგაციას ასეთი მოთხოვნა წავუყენეთ: დაუბრკოლებლივ გაეტარებია ჩვენი რაზმი სოხუმისაკენ, წინასწარ ჩაებარებია ჩვენთვის ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები. ვადა მივეცით 24 საათი. ჩვენი მოთხოვნის ვადა არცკი გათავებულიყო, რომ მოწინაალმდეგემ გაუფრთხილებლათ დაიწყო სროლა, როგორც თოფებიდან, ისე ზარბაზნებით და ტყვიისმფრქვეველებით. ჩვენც დავდგით არტილერია და ხიდს მივუჩინეთ დარაჯები. საღამოს ბრძოლა მიწყნარდა. მეორე დღეს ბრძოლა განახლდა. მოწინაალმდეგე ხუთი ზარბაზნიდან გვიშენდა. ჩვენი არტილერიის უფროსმა ვალიკო შარაშიძემ ერთი „ვზვოდის“ საშუალებით, რომელსაც მეთაურობდა სევასტი ვასაძე, ჯერ ჩააჩუმა მოწინაალმდეგის სამი ზარბაზანი და შემდეგ სამთო „ვზვოდის“ დახმარებით ორი ზარბაზანიც ჩაჩუმებულ იქნა. მოწინაალმდეგე უთავბოლო, თუმცა ხშირ სროლას აწარმოებდა ჩვენს წინაალმდეგ, მაგრამ ჩვენი წითელი გვარდია მეტად გულგრილათ ეგებებოდა მოწინაალმდეგის ყუმბარებს. მოწინაალმდეგემ მდინარე კოდორის მარჯვენა ნაპირად ხიდის ორივე მხარეს გააკეთა თავისი სანგრები. დამბაც თავდასაცავათ გამოიყენა და დადგა ჩვენს წინაალმდეგ დიდძალი ტყვიისმფრქვეველები. ჩვენი არტილერიის მიზანში ამოღებული სროლა მოწინაალმდეგეს იძულებულს ჰყოფდა ხშირად სანგრები დაეტოვებია. მესამე დღეს მოწინაალმდეგემ სოხუმიდან ახალი ზარბაზნები მოიტანა და ძველი პოზიციებიდან ბატარეები ახალზე გადადგა, მაგრამ ამ დღესაც საარტილერიო შეჯიბრება ჩვენს სასარგებლოთ დამთავრდა. 15 მაისს საღამოთი სოხუმის მიმართულებით ჩვენ გავგზავნეთ გამანადგურებელი ნავი („ისტრებიტელ“) ნაპირების დასაზვერავათ და სასროლათ. 16 მაისს დილით ჩვენმა ფლოტილიამ კვლავ დაზვერა და ნაპირებს ყუმბარები ესროლა მდ. მაჯავკის შესართავიდან მდ. კოდორის შესართავამდე. ამით მოწინაალმდეგის რაზმში არევ-დარევა იქნა შეტანილი. ამის შემდეგ მოვიახლოვეთ რა ყვირილა-სამტრედიის რაზმი, გადავწყვიტეთ მოწინაალმდეგეზე იერიშით მისვლა. ჩვენს განკარგულებაში იყო აგრეთვე კორნეტი მხეიძის უფროსობით ერთი ასეული აფხაზთა ცხენოსანი ჯარი. 17 მაისს შეტევა დავიწყეთ შემდეგის გეგმით: ცხენოსანთა ასეული, აღმასრულებელი კომიტეტის ბრძოლაში გამოწრთობილ საგანგებო რაზმთან ერთად მდინარეში გავიდა, რომ მოწინაალმდეგის მარცხენა ფრთისთვის უკანიდან შემოევლო. ჩვენმა არტილერიამ სწორეთ დილის 4 საათზე დააყარა ყუმბარები მოწინაალმდეგის გამაგრებულ პოზიციებს. ისარგებლეს რა საარტილერიო და ტყვიის მფრქვეველების სროლით, თფილისის და ფოთის წითელი გვარდია მიუახლოვდა ხიდს და იერიშით მივიდა. რაზმს აქ ხელმძღვანელობდენ გიორგი ლომთათიძე და ლეონიდ ნოვიკოვი. იერიშის დროს მოწინაალმდეგემ დაგვიშინა ყუმბარები და ტყვიის მფრქვეველები, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ მოწინაალმდეგეს უკან დაახევინა. ამ შეტაკების დროს ჩვენ დაგვიჭრეს ათი კაცი. ხიდთან ჩვენ ხელთ ვიგდეთ სამი ზარბაზანი, 7 ტყვიის მფრქვეველი და ბევრი ტყვე. მოწინაალმდეგე უწესრიგოთ გაიქცა, დასტოვა სურსათი, ყუმბარები. ჩვენი ჯარი ფეხ-და-ფეხ გაჰყვა მოწინაალმდეგეს და კიდევ ახალი ტყვეები ჩაგვივარდა ხელში. 17 მაისს 1 საათის ნახევარზე ჩვენი ცხენოსანი და არტილერიის მზვერავი რაზმი ვალ. ჯუღელის და ვ. შარაშიძის მეთაურობით შევიდა მოწინაალმდეგის მიერ განთავისუფლებულ სოხუმში. მცხოვრებლები დიდის აღფრთოვანებით შეგვხვდა. ჩვენს რაზმს გაუმართეს დიდი ოვაციები.

4 საათიდან ქალაქში იწყო შესვლა მთელმა ჩვენმა რაზმმა. მოწინაალმდეგე იყო ძლიერ კარგად მოწყობილი სურსათის, შეიარაღების და ჯარის სიმრავლის მხრით. მას იმედი ჰქონდა თავისი ძლიერების და შეეცადა გადასულიყო შეტევაზე. ჩვენ დაგვრჩა: 11 ზარბაზანი, მათ შორის 2 საალყო „კანეს“ სისტემის, 21 ტყვიისმფრქვეველი, დიდძალი „ვინტოვკები“. ჩვენი „ისტრებიტელი“ № 525 გუდაუთაში დაეწია მოწინაალმდეგეს დიდ ტრანსპორტს აყარებული სურსათით დატვირთულს. სამხედრო ოპერაციების გათავების შემდეგ, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი კონიევი, ჩვენ შევუდექით ადგილობრივი მთავრობის ორგანიზაციის და რევოლიუციონური წესრიგის აღდგენას, ვინაიდან ქალაქში და მთელს ოლქში არის ანარქია, დეზორგანიზაცია და არავითარი მთავრობა არ იყო. მეტისმეტათ რთული და საპასუხისმგებლო სამუშაო არის აქ, რის მოგვარებას შევუდექით“.

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

19 მაისი.

**მოსკოვის რადიო სადგურის ცნობა.** ყველა საბჭოებს. მიმართულების განურჩევლად სავალდებულოთ გაუხადეთ ყველა გაზეთებს სამი დღის განმავლობაში დაბეჭდონ ქვემო მოყვანილი სამხედრო კომისარიატის შემდეგი დეკრეტები: 1) სასოფლო, სამაზრო და საოლქო სამხედრო კომისარიატების შესახებ, 2) სამხედრო საქმეთა სავალდებულო შესწავლისა, 3) მუშათა და გლეხთა ჯარში თანამდებობის დაკავების შესახებ. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს, სასტიკათ დაისჯება.

ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ბრძანება დაუგზავნა ყველა საბჭოებს, რათა მათ ყოველივე იღონონ, რომ შექმნან ძლიერი ჯარი, რომელიც დაიცავს საბჭოთა მთავრობას. ამ მიზნით უნდა მოეწყოს სასოფლო, სამაზრო თუ საოლქო კომისარიატები სამხედრო საქმეთა სამი პირისაგან შემდგარი. ერთი მათში აუცილებლათ სამხედრო საქმეების მცოდნე უნდა იყოს და სხ.

**ბუქარესტის** რადიო სადგურმა შემდეგი ცნობა მიიღო ინგლისურ ენაზე: ცენტრალური სახელმწიფოების მოლაპარაკების თანახმად რუმინიის ჯარის დაშლა შემდეგის წესით მოხდება: დარჩენილი 8 ქვეითი დივიზია არ უნდა აღემატებოდეს რიცხვით 20 ათას კაცს, კავალერია—3200 კაცს, ბესარაბიაში მყოფი დივიზიები შემცირებული იქნებიან. რუმინიის სამხედრო საჭიროებისათვის მოეწყობა 4 პოლკი, 2 საკავალერიო და საჭირო არტილერია. სამსახურის ვადა ამ ჯარებში იმდენი იქნება, რამდენიც მშვიდობიან დროს. არავითარი ალლუმების გამართვა არ შეიძლება იმ დრომდე, ვიდრე არტილერია, ტყვიის მფრქვეველები, თოფები, ცხენები, „პოვოსკები“ და სხვ. გადაცემული არ იქნება ცენტრალური სახელმწიფოების წარმომადგენლის განკარგულებაში. შეუერთებელ ადგილებში წესიერებას დაამყარებს რუმინიის ჯარი ცენტრ. სახელმწიფოთა წარმომადგენლების თვალ ყურის გდებით, მოლდავიაში მყოფი ჯარები მიიღებენ საჭირო სურსათს და იარაღს, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს შემდეგ ნორმას: ერთი ტყვიის მფრქვეველზე 250 პატრონა, ერთ ზარბაზანზე 150 ყუმბარა. ცენტრალურ სახელმწიფოებთან შეთანხმებით რუმინიის ჯარს უფლება აქვს თავის სამხედრო საწყობები სხვა ალაგას გადაიტანოს.

**თფილისი.** სეიმის იურიდიულმა კომისიამ წინადადების მიხედვით რუსეთის ნაციონალურ საბჭოს შეიმუშავა მან პროექტი, რომლის ძალითაც საბჭოს უცხო სახელმწიფოს ელჩის უფლებები ექნება მინიჭებული ამიერ-კავკასიიდან გასული რუსეთის ქვეშევრდომთა ინტერესების დაცვის საქმეში. ამავე კომისიამ განუმარტა სრულიათ რუსეთის ქალაქთა კავშირს, რომ კავშირის მთელი ქონება, რაიც კი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოიპოვება, ამ რესპუბლიკის საკუთრებას შეადგენს.

20 მაისი.

**ბერლინი.** დასავლეთის ფრონტი. გიულიუხის დასავლეთით ჩვენს სანგრებზე მოტანილი ინგლისელების იერიშები ჩვენ მოვიგერიეთ და მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. დანარჩენ ფრონტებზე ქვეითი ჯარის მოქმედება დაზვერვაში გამოიხატებოდა. დილით დაწყებული საარტილერიო სროლა სადილობამდე გაგრძელდა და საღამოს ისევ განახლდა. განსაკუთრებით სასტიკათ გვიშენდა მტერი არრასის და ალბერობის შუა რაიონში.

**ვენა.** იტალიის ფრონტი. ორივე მხრით ტიროლის დასავლეთით და ვილენტინის მთებში მზვერავების მოქმედებაა. მტრის მიერ ღამით მოტანილი იერიში მონტეპერტკის აღმოსავლეთით მოვიგერიეთ. ალბანიაში ბრძოლა გრძელდება. წამოვიყვანეთ 100 ტყვე და რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი.

**ამსტერდამი.** ამერიკიდან ბელგიელების დასახმარებლათ გამოგზავნილი გემი „ფოლე“ ნიუ-იორკიდან როტტერდამამდე გზაში დაიღუპა. მიჰქონდა ქერი.

**ლონდონი.** ოფიციალურათ იუწყებიან, რომ ერთსა და იმავე დროს პარლამენტის რამდენიმე წევრი დაუპატიმრებიათ. დაპატიმრება მომხდარა დილით ადრე. არავითარი უწესოება არ მომხდარა.

„ტაიმსი“ იუწყება, რომ ირლანდიაში და დუბლინში მრავალი ხალხი დაუპატიმრებიათ.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ფრონტის ზოგიერთ ადგილებში ორივე მხრით სროლაა. იორდანეს შესართავთან და რაფატის მახლობლათ მზვერავთა მოქმედებაა. აჯანყებულთა შემოტევა გაანთან მოვიგერიეთ.

**ჰელსინგფორსი** დაიკავეს ფინელთა ჯარებმა. რუსებმა დაიხიეს. სამშაბათს ჰელსინგფორსიდან გავიდენ თითქმის ყველა რუსი მცხოვრებნი.

**პარიზი.** ოფიციალური ცნობა. საარტილერიო სროლის გარდა ავრის სამხრეთით არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

**თფილისი.** სეიმის წევრი ჯიბლაძე პირდაპირი მავთულით აუწყებს სამხედრო მინისტრს: 17 მაისს წითელ გვარდიელებმა ჯუღელის და კონიევის მეთაურობით დაიკავეს სოხუმი. ბალშევიკები გაიქცენ. ტყვეთ იქნა წაყვანილი 200 კაცი, რამდენიმე ზარბაზანი, ტყვიისმფრქვევლები და დიდძალი თოფები. ბალშევიკები გაიქცენ სოხუმიდან ზღვით და ხმელეთით. ხმელეთით გაქცეულთ დაედევნენ ჯუღელი და კონიევი. მე-107 ნომერი ტრანსპორტი, რომლითაც გაქცევას აპირობდენ ბალშევიკები, ჩვენმა „ისტრებიტელმა“ დააკავა. შიგ აღმოჩნდა 200 კაცი, დიდძალი სამხედრო იარაღი და ათი ათასი ფუთი ქერი.

# კავკასიის ფრონტი

(ოფიციალური ცნობა).

18 მაისი.

შავი ზღვის მიმართულებით სიწყნარეა. ახალციხის რაიონში საარტილერიო სროლაა. ალექსანდროპოლის რაიონიდან ახალი ცნობები არ მოსულა.

# ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.**

✦ **სოხუმიდან** 19 მაისს თფილისის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულმა საზოგადო წესიერების კომისიამ დეპეშა მიიღო, რომ წითელი გვარდიის რაზმმა ვალ. ჯუღელის და პოლკ. კონიევის ხელმძღვანელობით აიღო ქ. სოხუმი. ბალშევიკებს იარაღი აჰყარეს: ხელთ იგდეს 11 ზარბაზანი და 21 ტყვიისმფრქვეველი, დიდი ძალი იარაღი, სურსათი და წამოიყვანეს 500 ტყვე. წითელგვარდიელებს მოუკლეს 1, დაჭრილია რამდენიმე კაცი. ჯუღელი და კონიევი ცოცხლები არიან.

✦ **გ. პლეხანოვის და მ. გორკის ავათმყოფობა.** რუსეთიდან ჩამოსულ ამხანაგების გადმოცემით, ამხ. გიორგი ვალენტინის ძე პლეხანოვი ძლიერ ავათ არის და ამ ჟამათ ფინლიანდიაში წამლობს. ექიმების სიტყვით, მისი მორჩენა მეტათ საეჭვოა. იმავე ამხანაგის გადმოცემით სერიოზულათ არის ავათ მაქსიმ გორკიც, რომელიც ამ ჟამათ პეტროგრადში იმყოფება.

✦ **სამხედრო მინისტრმა** ტყვეობაში მყოფ პოლკოვნიკ ტარასი ვაშაკიძეს გენერალ-მაიორობა უბოძა.

18 მაისს სამხედრო მინისტრმა დაათვალიერა არსენალი და მისი საწყობები. ერთ საწყობში ის დაესწრო მუშების სხდომას, სადაც თანამედროვე მომენტზე სიტყვით მიმართა მუშებს. მუშებმა თავიანთ ეკონომიურ საჭიროებებზე მიუთითეს მინისტრს. მინისტრმა დახმარება აღუთქვა.

გენერალ-მაიორ [illegible] უბოძა გენერალ-ლეიტენანტობა.

✦ **სომეხ-თათართა სოციალისტური ამიერ-კავ. (ს.-დ. ს.-რ.) ბიურის** პრეზიდიუმი დაბეჯითებით სთხოვს ყველა ორგანიზაციის წევრთ აუცილებლათ დაესწრონ საზოგადო კრებას, რომელიც შესდგება 23 მაისს საღამოს 6 საათზე, მესამე სავაჟო გიმნაზიაში. გასარჩევი საკითხები მეტის-მეტათ სერიოზულია.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი ნაძალადევში.** პირველ რაიონის კოლექტივი აცხადებს, რომ ლექციების კითხვა რუსულ და ქართულ ენებზე ნაძალადევის თეატრის შენობაში დაიწყება სამშაბათს, 21 მაისს. სამშაბათობით და ოთხშაბათობით ლექციებს წაიკითხავენ რუსულ ენაზე. სამშაბათს, საღამოს 7 საათზე ლექციას მეცნიერულ სოციალიზმზე წაიკითხავს ს. ვოლსკი. ოთხშაბათს, საღამოს 6 საათზე ლექცია: ისტორია რევოლიუციონურ მოძრაობაზე. წაიკითხავს ლ. იშკოვი. ხუთშაბათობით და პარასკეობით—ქართულ ენაზე. ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე ლექცია—პოლიტიკურ ეკონომიაზე. წაიკითხავს ბ. თევზაია. პარასკევს, საღამოს 6 საათზე ლექცია, სოციალიზმის ისტორია წაიკითხავს, მ. არსენიძე.

✦ **მილიციის უფროსმა** ამ დღეებში დააპატიმრა 20 მეეზოვე ქუჩის დაუდევლობისა და პოსტზე გამოუცხადებლობისთვის.

✦ **შემთანხმებელი კრება.** 19 მაისს ახლათ გახსნილ მუშათა კლუბში შესდგა მუშათა სექციის შემთანხმებელ კამერის წევრთა კრება. კრებაზე არჩეულ იქნა ბიურო, რომელშიაც შედიან: თავმჯდომარე: ამხ. ხაიმოვიჩი, თავმჯდომარის ამხანაგი ორლოვი, მდივანი რჟევსკი. ამ კვირაში იმუშავებენ შემთანხმებელ კამერის სხდომებზე ამხანაგები სარიანი, ლისენკო და ცხვედაძე. მორიგი კრება დაინიშნა სამშაბათს, დღის 4 საათზე ბიუროს ბინაზე შემთ. კამერაში.

✦ **კარაკლისში მყოფ** გუმბრელმა ლტოლვილებმა აირჩიეს დელეგაცია, რომელმაც უნდა იშუამდგომლოს ოსმალთა მთავარსარდლის წინაშე ნება დართონ ლტოლვილებს თავის ადგილებს დაუბრუნდენ.

✦ **არჯევანიძის შკოლის მუნიციპალიზაცია.** წაღვერის ტყეში შკოლის დამაარსებელმა ზ. გ. არჯევანიძემ მიმართა თფილისის თვითმართველობას თავისი შკოლის მუნიციპალიზაციის შესახებ. თუ შკოლის მუნიციპალიზაცია მოხდა, ამ წელში შკოლაში გაიგზავნება 40 გულით სუსტი ბავშვი ქალაქის პირველ დაწყებითი შკოლებიდან. ბავშვების შკოლაში შენახვა უფასო იქნება და დაუჯდება ქალაქის თვითმართველობას ზაფხულის განმავლობაში 16,000 მან. სკოლა მომავალში გამართულდება და მიეწყობა მთელი წლით. მეცადინეობა შკოლაში იქნება ამხ. არჯევანიძის პროგრამით და ხელმძღვანელობით წაღვერის შკოლის მუნიციპალიზაციის შემდეგ აუცილებელი საჭირო იქნება გაიხსნას ამგვარი სკოლები შეძლებულ მშობლების ბავშვებისათვის ცალკე, რომლებიც დღემდე არჯევანიძის შკოლით სარგებლობენ.

✦ **ოპერა.** სამშაბათს, 21 და ხუთშაბათს 23 მაისს, კლუბის შენობაში ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირის მიერ დადგმულ იქნება პირველი ქართული ოპერა რევაზ გოგნიაშვილისა „ქრისტინე“—ლიბრეტო აღებულია ეგნატე ნინოშვილის მოთხრობიდან.

✦ **დამცველმა შტაბმა** დააპატიმრა მოქ. იაკ. გორელაშვილი, სელივან კალანდაძე და ილარიონ ვაჩეიშვილი ვინტოვკის გაყიდვისთვის, ალ. ჯაფარიძე და იოს. ბრეგვაძე სახაზინო ქონების გატაცებისთვის, პრაპ. ჰაიკ მალიანც—მკვლელობისთვის, პოდპორუჩიკი ალ. ანდრეევი—ფულის მოპარვისთვის, ჯარისკაცები მარტიროს ტერ-გევორკოვი, აზიზ გალუსტოვი—მძარცველობისათვის; ჯარისკაცები სტეფანე გოპაძე, კონსტ. მამულაიშვილი, გიორგი კოტოპაშვილი, სემ. იორდანიძე, გიორგი გალუსტოვი, ნიკ. გეჯიძე, გიორგი კალატოზაშვილი, დიმ. სამსაშვილი. გრ. კვირისაშვილი, მათე გორგაძე, ივანე თამაშვილი, დავ. არაბული და ნიკ. ოსაძე. ამათ ფრონტზე წასვლაზე უარი სთქვეს და სხვებსაც მოუწოდებდენ ურჩობისკენ.

### კრებები და მიტინგები.

დღეს საღამოს 6 საათზე მერვე სამილიციო ნაწილში მეორე კომერციულ სასწავლებლის სკოლის სადგომში დანიშნულია ამავე უბნის პარტიის წევრების კრება. მცირე კოლექტივის არჩევნები და სხვადასხვა მიმდინარე საკითხები.

— დღეს, 21 მაისს, საღამოს 7 საათზე შტაბის ბინაზე დანიშნულია მეოთხე რაიონის წითელ გვარდიელთა საზოგადო კრება. ყველა წითელ გვარდიელთა დასწრება სავალდებულოა.

# პროვინციის ქრონიკა

**სამტრედიის** ვაჭართა საურთიერთო ნდობის საზოგადოების კრებამ 7 მაისს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ სამართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოთ გადასდო 1917 წლის მოგებიდან 5 ათასი მანეთი.

**ძ. სურამი.** ბათუმის და ყარსის ოლქების დაცლის შემდეგ ამ მხარეებიდან სურამს ესტუმრენ მრავალი ლტოლვილნი ყველა ეროვნებისა და განსაკუთრებით კი უმრავლესობას შეადგენენ ბერძნები და სომხები, იმყოფებიან მეტათ უმწეო მდგომარეობაში. სურამის ახალგაზრდა ქალაქის თვითმართველობამ, რამდენათაც შესწევდა ქონება, ხელი გაუწოდა მათ და აღმოუჩინა დახმარება, მხოლოდ ეს ერთი წვეთია ოკეანეში. ამიტომ საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და დახმარება გაუწიოს ქალაქის თვითმართველობას ამიერ-კავკასიის მთავრობამ, თორემ თუ გაჩნდა მათში რაიმე ავათმყოფობა, მთელი სურამი თავისი რაიონით დაიღუპება.

# ტყვეების გაცვლა

ამიერ-კავკასიის საზავო დელეგაციამ 15 მაისის მინისტრთა თავმჯდომარის დავალებით ოსმალთა მთავარ სარდალთან ვეხიბ-ფაშასთან შემდეგი კონვენცია შეკრა: სამხედრო ტყვეების გაცვლის შესახებ საზავო მოლაპარაკების შედეგის დამოუკიდებლად. ამის გამო გენ. ოდიშელიძემ მთავრობას სთხოვა: 1) საჩქაროთ შეატყობინოს მას დეპეშით, რომ ვეხიბ-ფაშას აცნობოს ამიერ-კავკასიაში მყოფი ტყვე ოსმალთა რიცხვი და აღნიშნონ მათი სამყოფი ადგილები; 2) ეხლავე მოეწყოს ოსმალო ტყვეების გზავნა პირდაპირ ბათუმში. პირველი მატარებლით ტყვეები 22 მაისამდე უნდა მივიდეს ბათუმში. პირველ რიგში უნდა გაიგზავნოს გუმბრის რაიონის სამხედრო ტყვეები. თფილისზე ამათი მოგზაურობა უნდა უზრუნველყოფილი იქნენ, 3) ჩვენი სამხედრო ტყვეები იმავე მატარებლებით წამოვლენ ბათუმიდან, რაც ეცოდინება მატარებლის უფროსს, 4) ყველა სამხედრო ტყვეებს უნდა მიეცეს ბათუმამდე სამყოფი სურსათი. ჩვენ სამხედრო ტყვეებს ოსმალნი თფილისამდე სამყოფ სურსათს მისცემენ. ტყვეებს თან უნდა გამოაყოლონ მათი სია, ჩვენი ავადმყოფების გადმოსაზიდათ ბათუმიდან ეხლავე უნდა შეადგინოთ სანიტარული მატარებელი 200 კაცისათვის, ამ მატარებლის გამოგზავნის დღეს ცალკე შეგატყობინებთ; 6) ეხლავე უნდა გამოვარკვიოთ რამდენია ამიერ-კავკასიაში ავადმყოფი ტყვე-ოსმალო; 7) ყველა ტყვე ოსმალებმა უნდა გაიარონ ნავთლუღის საევაკუაციო პუნქტი, ესენი უნდა აბანაონ და დეზინფექცია უნდა უყონ, ასევე მოექცევიან ჩვენ ტყვეებს ბათუმში; 8) სამხედრო ტყვეთა გაცვლა სულ მოკლე ხანში უნდა მოხდეს, რათა ჩვენი ტყვეები რაც შეიძლება მალე დაბრუნდენ ოსმალეთიდან.

# „მემარცხენე“ სოციალისტ-რევოლიუციონ. ზნეობის ნიმუში

ეტყობა, მართალი არ ყოფილა ხალხის სიბრძნე: ყბედი ვინ მოღალა და მუნჯმაო. ყოველ შემთხვევაში მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერებზე არ მართლდება ის.

ამ რამდენიმე დღის წინეთ „ზნამია ტრუდა“-მ მოათავსა კავკასიის კომუნისტთა (ყოფილ სოციალ-დემოკრატ ბალშევიკების) საოლქო კომიტეტის დადგენილება, რომელშიაც კომიტეტი „ნდობას უცხადებს დროებით საქმეზე ჩამოშორებულ ამხანაგ პოლიუსუკს და სთხოვს მოღვაწეობას დაუბრუნდეს“. დადგენილებაში მოხსენებულია ბალშევიკების საყვარელი სიტყვა „საბოტაჟი“. საქმე შემდეგშია: კავკასიის საარმიო ყრილობაზე ამხ. ევგ. გეგეჭკორმა განაცხადა, რომ ბალშევიკების პარტიის წევრი პოლიუსუკი სახელ გატეხილია მით, რომ როცა პეტროგრადში ოხრანის თანამშრომლობა დააბრალეს, მან თავის მართლებაზე ხელი აიღო და კავკასიაში წამოვიდა. ბალშევიკებმა თავი შეურაცხყოფილათ იგრძნეს და დაინიშნა პარტიული სასამართლო. სასამართლო ასე შედგა: ორი ბალშევიკი იყო, ორი მენშევიკი და ამ ოთხმა ერთხმათ ავირჩიეთ თავმჯდომარეთ ნაფიცი ვექილი სერგეი ჯაფარიძე.

„ზნამია ტრუდა“-ში დაბეჭდილ დადგენილებაში ნათქვამია, ვითომ სასამართლო ჩაშლილიყოს მენშევიკების საბოტაჟის გამო და ვითომ ის მასალები, რომლის შეგროვება სასამართლომ მოასწრო, პოლიუსუკს ამართლებენ.

„ზნამია ტრუდას“ № 88-ში (16 მაისი 1918 წ.) „მემარცხენე“ ესერები მთელს წერილს ათავსებენ ამ სათაურით: ამიერ-კავკასიის მენშევიკების ზნე-ჩვეულებანი. ამ წერილში ბევრი რამ არის მოთხრობილი მენშევიკების უკულმართობაზე. მაგრამ მე ამ ჟამათ მაინტერესებს ამ წერილის ის ადგილი, რომელიც შეეხება იმ სასამართლოს, რომელიც პოლიუსუკის საქმეს არჩევდა, რადგან მე წევრი გახლდი ამ სასამართლოსი და „ზნამია ტრუდა“-ს თანამშრომელზე უკეთ ვარ გაცნობილი. აი ეს ადგილიც:

„ზნამია ტრუდა“-ს ერთ-ერთს წინანდელ ნომერში მოთავსებული იყო კომუნისტთა პარტიის საოლქო კომიტეტის წერილი რედაქციისადმი, სადაც მოთხრობილი იყო, ე. პ. გეგეჭკორის აზირებულ ყოფა-ქცევაზე ბალშევიკ პოლიუსუკის ინციდენტის გამო. როგორც ვიცით მეორე საარმიო ყრილობაზე თფილისში ე. პ. გეგეჭკორმა სახალხოთ წაუყენა პოლიუსუკს მეტად მძიმე ბრალდება და განაცხადა, რომ ის დოკუმენტებით დაამტკიცებს თავის ნათქვამს. ბალშევიკების ადგილობრივმა ორგანიზაციამ გეგეჭკორი სამედიატორო სამართალში გაიწვია, რაზედაც ის დაუყოვნებლივ დათანახმდა. საკმაოთ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ვერც ბალშევიკების ორგანიზაცია საერთოდ და ვერც პოლიუსუკი კერძოთ სამართალს ვერ ეღირსენო“ და შემდეგ წერილის ავტორს მოყავს „მსგავსი“ შემთხვევები მენშევიკების ცოდვების აღსანიშნავათ.

როგორც სასამართლოს წევრი იძულებული ვარ განვაცხადო შემდეგი: 1, სასამართლო ვერ იკრიბებოდა წესიერათ, მაგრამ არა მენშევიკების „საბოტაჟის“ გამო: სხდომები არა ერთხელ გამოსტოვეს სასამართლოს ბალშევიკმა—წევრებმა და სანამ კომუნისტთა კომიტეტი ჩვენ საბოტაჟს დაგვაბრალებდა რიგიანობა მოითხოვდა ნაფიც ვექილ ბალშევიკ შავერდოვს შეკითხებოდა, რამდენჯერ გამოსტოვეს სხდომა თითონ მათ. 2, საქმის გაჭიანურებას საკმაოთ შეუწყვეს ხელი თითონ ბალშევიკებმა, სხვათა შორის იმით, რომ საარმიო სხდომის ოქმიდან ამონაწერს არ ენდენ, თუმცა ის შემოწმებული იყო და მოწმეების დაკითხვა მოითხოვეს. 3, დასაკითხი იყო სკობოლევი და სხვები, რომელნიც რუსეთში იყვნენ. საჭიროთ ვსცანით წერილობით შევკითხებოდით, მაგრამ ფოსტის მოუწყობლობის გამო ვერ შევსძელით. ასეთ პირობებში საქმის დაბოლავება შეუძლებელი იყო, რადგან სკობოლევის და სხვანის დაკითხვა აუცილებელი იყო და ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო დაკითხვა ვერ მოვახერხეთ. ასე იყო საქმე. ამას ზედ დაერთო ჩვენში პოლიტიკურ ცხოვრების არევ-დარევა და შექმნილ პირობებში, მართალი გითხრათ, სულაც არ მქონდა ხალისი სხდომებზე სიარულით დრო დამეკარგა. ამიტომ მართლა გამოვტოვე ორი თუ სამი სხდომა.

ნათქვამიდან მკითხველი დაინახავს, თუ რამდენათ მართალი ბრძანდება კომუნისტთა კომიტეტი, როცა პოლიუსუკს აგანსათ ნდობას უცხადებს და ჩვენ საბოტაჟს გვაბრალებს და რამდენათ რიგიანია საქციელი „ზნამია ტრუდას“, რომელიც ფაქტების დამახინჯებაზე აშენებს თავის საბრალმდებლო ოქმს. იმედია, სასამართლოს თავმჯდომარე, სერგი ჯაფარიძე გამოაქვეყნებს ოქმებს, რომ მკითხველმა დაინახოს: მართლა შეიძლება თუ არა შეგროვილ მასალით ბ. პოლიუსუკის გათეთრება და რომელი მხარე რამდენათ არის დამნაშავე იმაში, რომ საქმე არ დაბოლოვდა.

სასამართლოს წევრი **კ. ნინიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოც.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 14 მაისს მოხდა სოც. დემ. მუშ. პარტიის სხდომა. დაესწრო 13 წევრი. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: ანარქია ქალაქში და რკინის გზაზე; პარტიული დისციპლინა; მოხსენებები. კრების გახსნის შემდეგ ამხ. ბახტაძე აკეთებს მოხსენებას პირველ რაიონში საქმის მდგომარეობაზე. ის დაწვრილებით აღნიშნავს იმ სულიერ დაქვეითებას, რომელიც დღეს სუფევს ფართე მასაში: ლოთობა და ყაჩაღობა, შეიარაღებული გამოსვლები, კონტრ-რევოლიუციონური აგიტაცია, უპასუხისმგებლობა, ამას ზედ დაუმატეთ კიდევ მთელი უბნების ანტისანიტარული მდგომარეობა და თქვენ მიიღებთ დღევანდელ მდგომარეობის სრულ სურათს. ასეთი ქაოტიური მდგომარეობა, რომელც უმთავრესად გამოწვეულია ნივთიერი საშვალებების დარბევით კიდევ მეტათ მწვავდება პარტიული მუშაკების ნაკლებობით. რაც შეეხება ჩვენი პარტიის ზოგიერთ წევრებს, რომლებიც შემთხვევით ჩაწერილან ჩვენ პარტიაში და თავიანთი მოქმედებით მხოლოდ ჩირქსა სცხებენ პარტიას, უმჯობესია, ამბობს ამხ. ბახტაძე, პარტია ერთხელ და სამუდამოთ გაიწმინდოს ასეთ პირებისაგან. შემდეგ ის ეხება რკინის გზებზე მომხდარ უწესოებას და აღნიშნავს ზოგიერთ პირების ავანტიურისტულ თავხედობას, მაგალითად, ჩამოივლიან როგორც კონტროლი და ძარცვავენ მგზავრებს. ყველა ამაების მოსასპობად ახლავე უნდა მივიღოთ ზომები. ამისათვის მომხსენებელი იძლევა წინადადებას მოკლე ხანში მოწვეულ იქმნას ყველა ჩვენი ფრაქციების შეერთებული სხდომა და გამომუშავდეს განსაკუთრებულ პირობების მიხედვით ჩვენი მოქმედების გეგმა. ხანგრძლივ კამათის შემდეგ ამ კითხვაზე მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: „ეცნობოს ყველა რაიონულ კოლექტივებს დაავალონ თავიანთ მდივნებს, რათა ისინი დროგამოშვებით აგროვებდნენ თავიანთ რაიონებში და ატყობინებდნენ თფილისის კომიტეტს იმ გარემოებების მიზეზებს, რომლებიც რაიონის აზრით, იწვევენ უკმაყოფილებას ხალხის ფართე მასაში და ამით უტეხენ სახელს და ამცირებენ როგორც მთავრობის ავტორიტეტს, ისე ჩვენი პარტიის გავლენას. რაც შეეხება ისეთ წევრებს, რომლებიც შემთხვევით მოხვედრიან ჩვენს პარტიაში, მიეცეს წინადადება რაიონებს ეხლავ შეუდგენ მათი პარტიიდან გაწმენდას, ხოლო გამორიცხულთა სია წარმოუდგინონ საოლქო კომიტეტს“. დასასრულ ამხ. არსენიძე აცნობს კრებას ზოგიერთ იმ პროექტების ძირითად დებულებებს, რომლებიც აზრათ აქვს ქართულ ნაციონალურ საბჭოს საფუძვლათ დაუდოს ჩვენს მომავალ კონსტიტუციას.

**კომიტეტის მდივანი.**

---

**თფილისი.** 1-ლ რაიონის კოლექტივი აცხადებს, რომ 14 მაისიდან ბიურო გადავიდა „ნაძალადევის“ თეატრის ახალ შენობაში, იქვე გვერდით გახსნა უფასო წიგნთსაცავი-სამკითხველოთი. ამასთანავე კოლექტივი უმორჩილესად სთხოვს გაზ. „ერთობა“-ს და „ბორბას“ ხელისმომწერლებს დააჩქარონ აპრილის ხვედრი ფულის შემოტანა. სთხოვს აგრეთვე რკინის გზის მთავარ სახელოსნოების ცეხების და დეპოს წარმომადგენლებს, რომელთაც მიაქვთ გაზეთები დასარიგებლად, უსათუოდ შემოიარონ ბიუროში, რითაც დიდათ ხელს შეუწყობენ კოლექტივს, რომ ამიერიდან ხელის მომწერლებმა თავის დროზე და წესიერათ მიიღონ გაზეთები.

მდივანი **ფოფხაძე.**

## მუშათა შორის

**თფილისის** ტრამვაის მოსამსახურეებმა შემდეგი განცხადება წარუდგინეს ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარეს: „17 მაისს ტრამვაის სამმართველოში მოვიდენ სომხთა ნაციონალური საბჭოს წარმომადგენლები ტრამვაის კონდუქტორები მანუჩაროვი და ტუსუნიანცი, ეს უკანასკნელი ქალაქის საბჭოს და სომხის ნაციონალური საბჭოს წევრია. მათ განაცხადეს, რომ სომხეთა ნაციონალური საბჭოს დადგენილებით ტრამვაიზე მოსამსახურე სომხების, განურჩევლად წლოვანებისა უნდა მოხდეს მობილიზაცია და ისინი გაგზავნილ იქნან მოქმედ ჯარში ალექსანდროპოლის დასაცავადო. ამასთან განაცხადეს, რომ ვინც უარს იტყვის ამის შესახებ, მას ძალით წავიყვანთ და ვინც დაიმალება, იმის წინააღმდეგ ტერორს მივმართავთო. კონდუქტორ გამაიანცს და ვატმან არზუმანოვს იმავე დღეს დააბრუნებიეს ვაგონი ნაძალადევიდან პარკში, წაიყვანეს ისინი ნაციონალურ საბჭოში, ჩააცვეს ჯარის-კაცის ფარაჯები და ჩარიცხეს პოლკში. კონდუქტორები ეგიაზაროვი და გულასარიანცი, რომლებიც თფილისის აღმასრულებელი კომიტეტის წითელ-გვარდიელებათ ითვლებიან, ჩამოიყვანეს ვაგონიდან. მათ დაემუქრენ მანუჩაროვი და დაშნაკცუტიუნის პარტიის სხვა წარმომადგენლები. ესენი იძულებულნი იყვენ წასულიყვენ პოლკში და სურვილის წინააღმდეგ ჩაწერილიყვენ ჯარში. ტერორის შიშით აგრეთვე იძულებული იყვენ კონდუქტორები მამაიანცი და კატინიანცი აესრულებიათ ბრძანება. ტრამვაის დირექტორის განკარგულებით ტრამვაის დაბალ მოსამსახურე სომხებს სამუშაოზე არ უშვებენ, რომ ასე მათ აასრულონ სომხის ნაციონალური საბჭოს ბრძანება.

200 სომეხ-მოსამსახურედან დაშნაკცუტიუნის პარტიის ძალადობას ემალება 30 კაცი, დანარჩენი ყველანი წაიყვანეს. ტრამვაის მოსამსახურენი სთხოვენ მთავრობას დაიფაროს ის დაშნაკცუტიუნის პარტიის და სომხის ნაციონალური საბჭოს უკანონო მოქმედებისაგან. ჩვენ ვსცნობთ მხოლოდ ერთ მთავრობას—ამიერ-კავკასიის მთავრობას, სხვა ორგანიზაციებს, რომელთაც სურთ მთავრობის მოვალეობის შესრულება, ჩვენ არ ვსცნობთო. უკეთუ ჩვენი საომრათ გამოსვლა საჭიროა, ჩვენ სიამოვნებით ავასრულებთ ამას, თუ ამას სეიმი დაადგენს. სომხური ნაციონალურ საბჭოს ბრძანება კი პირდაპირ დარღვევაა სეიმის მიერ გამოცემული კანონისა, ამიტომ გთხოვთ დაგვიფაროთ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მოქალაქე სომხები, სომეხთა ნაციონალური საბჭოს უკანონო მოქმედებისაგანო.

## რკინის გზაზე

### მოწოდება

შექმნილი მდგომარეობის გამო ჩვენ ვიცით, რომ მრავალი მოსამსახურეები რკინის გზისა, უმეტესათ ბაქოსა და სამხრეთ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ნაწილებისა ლტოლვილთა რიცხვებში ითვლებიან. ისინი იძულებულნი გახდენ თავიანთი ალაგი სამსახურისა მიეტოვებინათ. ამისათვის ვერავინ მათ საყვედურს ვერ ეტყვის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ისინი ჯამაგირს ღებულობენ—საევაკუაციო ფულებიც მიიღეს, ითვლებიან რკინის გზის მოსამსახურეებათ. და არც ერთმა მათგანმა საჭიროთ არ დაინახა გამოცხადებულიყო ამხანაგებთან და გაეცხადებიათ მართალია: ჩვენ შექმნილი პირობების გამო იძულებული გავხდით ალაგები მიგვეტოვებია, მაგრამ ჩვენ სულით და გულით გვსურს ვემსახუროთ თავისუფლების, რევოლიუციის საქმეს, ამის გამო ვაცხადებთ რა ამას, ამხანაგებს ვსთხოვთ გვიჩვენოს და მიგვითითოს თუ სადმე ჩვენი შრომა და თავგანწირვა საჭიროა—ჩვენ ყოველ წუთს მზათა ვართ ამისთვისო. ჩვენ და ჩვენი ამხანაგების სამარცხვინოთ ასეთი განცხადება არავისაგან არ გვსმენია მაშინ, როდესაც ყოველ მხრივ ჩვენს თავისუფლებას სამკვდრო სასიცოცხლო ომს უცხადებენ და ამავე დროს ყველა მხრიდან ბნელმა ძალებმა უტიფრათ წამოყვეს თავი,—ჩვენთვის მოუცილებელ საჭიროებას შეადგენს შეკავშირებული და შეგნებული ძალები წესრიგის დასაცველად. აი, სწორეთ აქ შეიძლება ლტოლვილი მოსამსახურეების ძალების გამოყენება, რახან ისინი თითონ ამის საჭიროებას არ ხედავენ და თავიანთ ამის ვალდებულებას არ გრძნობენ, მოვაგონებთ მათ და მივმართავთ თხოვნით დაუყონებლივ გამოცხადნენ თფილისში ამ საქმის გამოსარკვევათ, აქ კი გამორკვეული იქნება ვინ და რა უნდა აკეთოს; ვისაც რაიმე პატივსადები გარემოება ხელს არ უშლის და ის ამ მოწოდებას ანგარიშს არ გაუწევს, არ გამოცხადდება და თავის მოქალაქობრივ მოვალეობას არ შეასრულებს, ყოველ შემთხვევაში ჩვენის აზრით ამხანაგთა შორის ალაგი არ უნდა ექნეს.

სად. თფილისის და ჩის რაიონში წესიერების დამცველი აღმასრულებელ კომისიის მონდობილობით **ევსიხი სამსონია.**

## ბოროტმოქმედი კომისარიატი

ქალაქის არც ერთ განაპირა უბანში არ ყოფილა ბნელი ძალების ისეთი აღვირახსნილი მოქმედება, ლოთობა, ქურდობა, ავაზაკობა და მკვლელობა, როგორიც საბურთალოზე იყო. ბნელი ძალების ასეთმა შავრაზმულმა მოქმედებამ ამ ბოლო დროს პირდაპირ აუტანელი ხასიათი მიიღო.

ადგილობრივი ადმინისტრაცია ამ ანარქიის ჩასაქრობათ არავითარ ზომებს არ იღებდა; პირიქით, როგორც ბოლოს გამოირკვა, ის თითონ ხელს უწყობდა ასეთ არევ-დარევას და კარგათაც სარგებლობდა ამით.

რას აკეთებდა ამ დროს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი?—ის ან არ არსებობდა, ან არსებობდა, მხოლოდ ქაღალდზე; რაიმე საქმის გაკეთება კი მას არ შეეძლო, რადგან ადგილობრივი კომისარი მას ანგარიშს არ უწევდა და სისრულეში არ მოჰყავდა მისი დადგენილებანი.

რევოლიუციის ხანაში საბურთალომ ოთხი აღმასრულებელი კომიტეტი გამოიცვალა და მთელი ამ ხნის განმავლობაში **არც ერთი** მათგანის **არც ერთი** დადგენილება ადგილობრივ კომისარს ი. ლაფაჩიძეს სისრულეში არ მოუყვანია; ერთ კომიტეტზე შეიარაღებული თავდასხმაც კი მოახდინა მან და ისე მოიშორა თავიდან.

ბ-ნი ლაფაჩიძე კარგათ გაწვრთნა თავისმა მწერალმა ლ. მოჩაიძემ, რომელიც განთქმულია ძველი რეჟიმის სამსახურით და ათასგვარ შავრაზმულ მოქმედებით. იმ დროს, როდესაც საბურთალოზე ის აწყობდა ათასგვარ ბნელ საქმეებს, ქალაქის ამხანაგებთან შეუდარებელის მოხერხებით მოქმედებდა თავის ავტორიტეტის ასამაღლებლათ. მუდამ პარტიაში ტრიალებდა, ენაზე სულ რევოლიუცია და თავისუფლება ეკერა, ერთ დროს ცხინვალშიაც კი გაჰყვა ამხანაგებს საომრათ და სხვ.

ამავე დროს ბ-ნი ლაფაჩიძე აშკარათ უცხადებს კომიტეტის ერთ-ერთ წევრს, რომ აღმ. კომიტეტის ყველა წევრები უნდა დავატუსაღოვო. მეტის მოთმენა შეუძლებელი იყო. აღმ. კომიტეტმა გადასწყვიტა კანონიერი მსვლელობა მიეცა ყველა იმ განცხადებათა და საჩივრებისათვის, რომელნიც საბურთალოს მოქალაქეთ შემოჰქონდათ ლაფაჩიძეზე, და რომელთა გარჩევას ლაფაჩიძე შინაურულათ აპირებდა. კომიტეტი გულმოდგინეთ შეუდგა გამოძიებას.

საჩქაროთ შემუშავდა შვიდი ოქმი. კომიტეტმა ყველა ისინი წარუდგინა თფ. მ. და ს. დეპ: აღმასრულებელ კომიტეტს, რომელმაც ისინი გადასცა ქალ. თფილისის თავდაცვის შტაბს. თავდაცვის შტაბმა საჩქაროთ დააპატიმრა ლაფაჩიძე, მისი მასწავლებელი მოჩაიძე და სხვ... ამ ამბავმა თავზარი დასცა საბურთალოს ბნელ ძალებს; დატრიალდენ საბურთალოს ვაჭრები. განა ხუმრობაა მათთვის ასეთი ხალხის დაკარგვა? ი. ლაფაჩიძესთან ერთათ ისინი უნდა გამოთხოვებოდენ უპატენტოთ და სრულიად თავისუფალ ვაჭრობას.

მათ საჩქაროთ აფრინეს კაცი ვერის რაიონის წითელ გვარდიის შტაბში „გვიშველეთ, თქვენ დაუკითხავათ წითელ გვარდიელები დაიჭირესო“.

წითელ გვარდიელთა დიდი ნაწილი ხომ თავიდანვე დარწმუნებული იყო ლაფაჩიძის უცოდველობაში!

მათ ფიცხლავ მიიღეს ზომები საბურთალოს მბრძანებლის გასანთავისუფლებლათ... ამავ დროს საბურთალოს ვაჭრები აგროვებენ ხალხს და ზოგს ძალით, ზოგს მოტყუებით ხელს აწერინებენ „პრიგოვორზე“, რომლითაც მოითხოვენ დაპატიმრებულთა საჩქაროთ განთავისუფლებას. თფ. მ. და ს. აღმ. კომ. ბიურო და თავდაცვის შტაბი ცივის უარით ისტუმრებს როგორც წითელგვარდიელების, ისე საბურთალოელ დელეგაციებს. 15 მაისს ქალაქის მილიციის უფროსი ატყობინებს 1 უბნის კომისარს მიიღოს საბურთალო თავის განკარგულებაში. კომისარი მილიციონერებით და აღმ. კომიტეტის წევრები მიდიოდიან საბურთალოზე კომისარიატის კანცელარიის ჩასაბარებლათ. კანცელარიის ეზო შეიარაღებული ხალხითაა გაჭედილი. „წითელგვარდიელები გამოძიებას ახდენენო“, გვეუბნებიან. მაგრამ რათა, რის ძალით; საქმე ხომ საგანგებო საგამომძიებლო კომისიის ხელშია?—„ჩვენ თავდაცვის შტაბი და მისი კომისია არ ვიცით, ჩვენ დამოუკიდებლათ ვმოქმედებთო“—გვიპასუხებენ „გამომძიებელნი“.

აღმასრულებელი კომიტეტი და კომისარი მათ სთხოვენ შესწყვიტონ გამოძიება, რომ ხელი არ შეუშალონ თავდაცვის შტაბის მიერ დანიშნულ კომისიის მუშაობას... ეს ასეც მოხდა: ბნელმა ძალებმა გაიგეს მოწმეთა ვინაობა და ზოგი მოსყიდვით, ზოგი მუქარით უნდოდათ უკუღმა ელაპარაკებინათ. ერთმა მოწმეთაგანმა თვით კომისარს (პარკაძეს) შესჩივლა, 1000 მანეთს მაძლევდენ სიტყვა გადააბრუნეო. ამის შესახებ კომისარმა იქვე შეადგინა ოქმი. რომ დროზე არ მოესწრო კომისარს და არ შეეწყვიტა გამოძიება, ვინ იცის, თუ რა შავ დღეს დააყრიდნენ ბნელი ძალები „ჯიუტ მოწმეებს“. ჯერ-ჯერობით ეს ნაყოფი გამოიღო ზოგიერთ წითელგვარდიელების მუშაობამ. და რომ მათ გამოეშვებინებიათ დაპატიმრებული გამოძიებამდე, ვინ იცის თუ რამდენი მოწამე ჩაიკმენდდა ხმას მათი ტერორის ქვეშ.

15 მაისსავე საღამოს მოხდა ამ კითხვის შესახებ საბურთალო-ახალშენის მოწინავე მუშების კრება. ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის სახელით მოხსენება გააკეთა კომიტეტის წევრმა ს. შიხელიძემ. მან ნათლათ დაასურათა კომიტეტის მიერ გადადგმულ ნაბიჯების აუცილებლობა და ადგ. ვაჭრების და საზოგადოთ, ბნელი ძალების მოქმედება. ილაპარაკეს ბევრმა სხვა ორატორებმაც, როგორც კომიტეტის მომხრეებმა, ისე მოწინააღმდეგეებმა. კრებამ ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „იღებს რა მხედველობაში, რომ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის მეოხებით საბურთალოს საზოგადოება განთავისუფლდა იმ ბნელი ძალებისაგან, რომელიც მას მაჯლაჯუნასავით თავს აწვა ადგილობრივ ადმინისტრაციის სახით, კრება იწონებს აღმასრულებელ კომიტეტის ნაბიჯებს და უცხადებს მას სრულ ნდობას და ღრმეს მადლობას“. ბელზებელი.

## გზა და გზა

### გურიაში.

VI

ბაილეთში დილით ადრე გაიხსნა ყრილობა. ყრილობას ჯარისკაცებიც დაესწრენ.

— სიტყვა ეკუთვნის ჩვენს ძვირ. მასწავლებელს პირველი სახელმ. დუმის დეპუტატს ის. რამიშვილს—აცხადებს კრების თავმჯდომარე. კრება განცხადებას ტაშის ცემით შეეგება. ეს ყველგან ასეა, და აქიდან მტკიცდება ხალხში გავლენა ვერ მოუპოვებია კონტრ-რევოლიუციონურ მოძრაობას, რეაქციონერთა გამოსვლას.

„ბათუმის დაცემით არ თავდება ყველაფერი. მართალია იქ განვიცადეთ კრიზისი, მაგრამ ჩვენი უკანასკნელი დღეები იყო ბრწყინვალე თავდები იმისა, რომ ჩვენ დამარცხებასთან ერთათ შევძლებია გამარჯვება.

კარგათ მოწყობილ მცირე რიცხოვან ჯარს, სადაც არ არიან მოღალატეები, პროვოკატორები, სადაც გმირული გატაცებაა და შეგნება მოვალეობისა, ასეთი ნაწილი ჯარისა ძლიერია და მას შეუძლია დაამარცხოს მრავალრიცხოვანი ჯარი... მცირე რიცხოვანმა ჯარმა ნატანების მიმართულებით სასტიკათ დაამარცხა ოსმალთა დიდძალი ჯარი. ეს დღე იდღესასწაულა თფილისმა 13 აპრილს საღამოს სასახლეში, როცა მუშათა საბჭოს დარბაზში ტყიებისაგან ჩოხა დაფლეთილი ვალოდია გოგვაძე გამოჩნდა. პატივისცემით და დიდებით იხსენიებდენ 8 აპრილის გმირებს და გაისმოდა ძახილი;—გაუმარჯოს ჩვენს გმირებს, გაუმარჯოს გურიასო! 8 აპრილის ისტორიული დღე გვიჩვენებს იმას, რომ პირველ არევ-დარევას ბოლო ეღება, ჯარი შეგნებული ირაზმება და თვით ბრძოლაში ყალიბდება, ამიტომ უიმედობა, შიში, ეგ ჩვენი საქმე არ არის და ხალხი მოძრაობაში დამცველ მებრძოლთ წარმოშობსო“. ასეთი იყო ისიდორეს სიტყვის ერთი ნაწილი.

ნატანების ბრძოლა მართლაც დიდი აქტია ჩვენს ცხოვრებაში. 8 აპრილს შეუბრალებელი ბრძოლა იყო ჩოლოქთან. ამ დღეს თავზარი დასცა ჩვენმა რაზმმა მტერს და ამით აიხსნება ის, რომ მტერმა ზურგიდან ე. ი. ოზურგეთის მიმართულებით შემოუტია და სამხრეთი გურია დაიპყრო.

სახალხო კრება მიმდინარე მომენტს გაეცნო და ის დაკმაყოფილდა ამიერ-კავკასიის სეიმის მოქმედებით.

კრებაზე ჯარისკაცმა წაიკითხა პოზიციიდან მოსული ჯარისკაცთა წერილი, ჯარისკაცები—დროებით დასასვენებლათ წამოსულ ამხანაგებს მოუწოდებდენ და აგრეთვე იტყობინებოდენ, რომ ვინც ხელმოკლეა და მასთან ოჯახში ერთი, დარჩენ ყანების დასათესათ და საჭიროების დროს მოვიდენო.

ყანების დათესვის დრო გადის და გურიაში მუშაობა არ არის. როგორც მდ. სუფსის პირები, ხაშიის ნაყოფიერი ადგილები, ისე ნატანების მინდორ-ველები ხელ-უხლებელია და დღეს დამშეულ გურიას მომავალიც კარგს არ უქადის.

მიტინგის გათავების შემდეგ გაიმართა გურიანთის რაიონული კოლექტივის კრება, რომელსაც დაესწრო ამხანაგი ჯარისკაცები. კრებაზე ყველა ამხანაგებმა მოხსენება გააკეთეს. მოხსენებების დასკვნა ასეთია: პარტ. ორგანიზაციების და ადმინისტ. ორგანოების მოქმედება ბოლო ხანებში გართულებულ პირობების გამო ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. ყოველივე კითხვები ვიწროთ იჭრებოდა და ამ უკანასკნელ რამოდენიმე თვის განმავლობაში სამ. აღმ. კომიტეტის კრებაც არ მომხდარა.

თავდაცვის კომიტეტის არჩევნებით აქა-იქ უკმაყოფილება იყო.

სამხედრო შტაბმა მოამზადა გვარდია და შეუდგა ტალახას პოზიციის გამაგრებას. 22 მარტს შესდგა სამშობლოს და რევოლიუციის დაცვის კომიტეტი. ამ კომიტეტმა თავისი სამხედრო მოქმედება შეამცირა და ბათუმის დაცემის შემდეგ იქიდან გამოქცეულ პოლ. წერეთელს გადასცა მთელი ძალა-უფლება და მან დაიტოვა მხოლოდ პროპ. აგიტაციის უფლება. თავდაცვის კომიტეტში წერეთელს შემდეგი განუცხადებია: „78 წ. საზღვარზე ჩვენი ჯარი უნდა გავაჩეროთ „ჩეტნიკთა“ წინააღმდეგ, თუ ოსმალეთის ჯარი შემოვიდა, დავემორჩილოთო“.

ლიხაურის პოზიციაზე გაგზავნილ ჯარს წერეთელმა შემდეგი დარიგება მისცა: „თქვენ დაიცავით საზღვრები. ომი შეიძლება არ მოხდეს. მტრის ჯარი არ მოვა და რომც მოვიდეს და გესროლონ, თქვენ პასუხი არ გასცეთო“.

ამას ჯარში უკმაყოფილება გამოუწვევია და ამბობდენ,—„მაშ, რაღას მივდივართო“.

ლიხაურიდან წერეთელს ცნობა მიუღია თათრები მოდიან და მოგვეხმარეთო. ეგ ცნობა მას სასაცილოთ აუღია.

კაპ. ივ. ცომაია, რომელიც ადგილობრივ პირობების მცოდნე ყოფილა, წერეთელს თფილისში გაუგზავნია ხაზინიდან ფულის მოსატანათ. ცომაიას მიუმართავს წერეთლისათვის, „რადგანაც აქ მოსალოდნელია შემოსევა და მე, მცოდნეს ადგილობრივ პირობებისა, ნუ მგზავნითო“.

წერეთელს უბრძანებია,—„წადიო“! და ცომაია იძულებული გამხდარა წასულიყო.

პოლკ. ინწკირველი, რომელიც წინათ დანიშნულა, შემდეგ გადაუყენებიათ, მეოთხე პოლკის ბათუმის ისტორია გაგრძელდა გურიაში.

5 აპრილამდე მოქმედებდა ოზურგეთში გვარდია და მილიცია. შემდეგ კი გვარდიის მოქმედება შეასუსტეს, ვინაიდან წერეთელმა ჩაიბარა ყველაფერი, საწყობები, დაცვა და სხვა. ბათუმის დაცემით ხალხი აღელვებული იყო, ოზურგეთის დაკარგვამ გაამწვავა დამოკიდებულება.

იქ-აქ ანარქიის ნიშნებია, ს[illegible] იყო მოხსენების ერთი ნაწ[illegible] დასკვნა. კრებამ რამოდენიმე კითხვა გაარჩია და სხვათა შორის სასურ. კომიტეტის შესახებ.

ბაილეთიდან ხვარბეთში ლა[illegible] მივედით. აქ გავიგეთ, რომ ამ დღეებში მო[illegible]კლავთ ცნობილი გრიგოლ ქარცივაძე და ალ. თოიძე. თუ რისთვის, ამაზე არაფერს ამბობდენ, მხოლოდ ეს პირები ხალხში ცნობილი იყვენ, როგორც კონტრ-რევოლიუციონერები.

იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ მივედით, ვაშნარი ახლოს იყო. ჩვენ 10 აპრილის ომი გვაინტერესებდა. იქ ბევრი ამხ. დაიღუპა. ამხ. ს. მურვანიძემ ჩვენ მოგვითხრო, თუ როგორ დაიღუპა ძველი პარტიული მუშაკი ლ. ჩანჩიბაძე. „წინ დღეებში ლადიკო გაიძახოდა: აწ მე სიცოცხლე აღარ მინდა, უმჯობესია მოვკვდე, ვიდრე აქ ვიხილავდე მონურ ქვეყნის ბატონობასო. 10 აპრილს ჩვენთან ერთათ იბრძოდა უშიშრათ და თავ-განწირულათ ეკვეთა მოწინააღმდეგეთ, სხვებთან ერთათ. დილიდან—შუადღევამდე ტყვია სეტყვასავით მოდიოდა ჩვენს სანგრებზე, ჩვენ პასუხს ვაძლევდით. ბოლოს შეტევაზე გადავედით ის იყო წამოვყევით თავი თუ არა, ლადიკოს შუბლში მოხვდა ტყვია და იქვე განუტევა სული.

დილით ადრე წინა ხაზზე ვიყავით. ჩვენს გაღმით ე. ი. მდინარე ნატანების იქით მოსჩანდა ოსმალთა სადარაჯოები და მათი თხრილები. ფრონტის ხაზი მდინარე სკურდუმამდე ადის და შემდეგ ახალსოფლისაკენ მიდის. სამხრეთით მოსჩანდა ოზურგეთი, მხოლოდ პირდაპირ კი აჭარის მთის კალთებზე აჭარელთა სოფლები. ჩვენ შევნიშნეთ სოფ. ქაქუთის და ხუცუბანის გორებზე იქ-აქ გაწმენდილ ყანებში კვამლი. ეტყობა ყანის მოხვნას შესდგომიან ოდესმე ჩემი საყვარელი „ელიას“ ციხე, ეხლა, რაღაც უკუღმართათ გამოიყურებოდა.

„ელიას“ ციხე, რომელიც ტალახას თავს დასცქერის ერთგვარი სტრატეგიული ადგილია. ბათუმის დაცემის შემდეგ „ელიას“ ციხე-ტალახა შესაჩერებელი პოზიციაა, რადგანაც აღნიშნული სიმაგრეები გურიის გასაღებია. არც წინათ და არც ბათუმის აღების შემდეგ ამ ბუნებრივ სიმაგრეებისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ და რაღა გასაკვირალია ოზურგეთის მარცხი.

ასე წარმოიდგინეთ, თვით აჭის ხეობა, სადაც შეუძლია მცირე რაზმს დიდ-ძალი ჯარის გაჩერება გაუმაგრებელი ყოფილა...

— „ოზურგეთის სამხ. უფროსი ა[illegible] დიდ საფრთხის წინაშე, ჩვენ გვეუბნებოდა: „არაფერი არ მოხდებაო“.—შემოგვჩივლეს ყველგან და ასეთი მოქმედება ჩვენც გვეუბნება, აქ რაღაცა სერიოზული და რთული მოვლენაა, რომელიც გამორკვევას მოითხოვს...

დანიშნულ ადგილას დიდ-ძალმა ჯარმა მოიყარა თავი. კრება გაიხსნა მეცხრე როტის „კამანდირ“ კ. სვანიძის თავმჯდომარეობით. ჩვეულებრივ ხალხური ენით ის. რამიშვილი შეუდგა დღევანდელ ვითარების ახსნა-განმარტებას. დაინტერესებული მოისმინეს ისიდორეს სიტყვის შემდეგი ნაწილი: „ლაჩარს, სულით მდაბალს შეუძლია მთელი ლაშქარი მოშალოს. ასეც მოხდა პროვოკატორების წყალობით ბათუმში, მაგრამ დღეს ჯარი გამოირკვა, ის აღარ უჯერის მოღალატეებს. ამას ამტკიცებს ჩვენ მიერ ნახული ფაქტი. აღდგომა ღამეს ჩვენ ფრონტზე ვიყავით სამხრეთის რაიონში. ღამე ასტყდა—სროლა საშინელი. ამ სროლით მთელი ნაწილები შეიძრა. რა იყო? რა მოხდა? მეორე დღეს დაჭერილი მოიყვანეს ვიღაც გოგოლაძე, რომელსაც გამოეწვია ეს სროლა. ჯარისკაც გოგოლაძეს მოდარაჯე ჯარისკაცებისათვის ეცნობებია: თავს უშველეთ თათრები მოდიან, აფიცრები გაიქცენ, მთავრობამ გაგვყიდაო, რასაც მოყვა ღამით მღელვარება ჯარის კაცებმა გოგოლაძეს ჭინანდებურათ აღარ დაუჯერეს და როდესაც კატეგორიულათ შეეკითხენ,—მან განაცხადა,—შემეშინდა და თათრები მომელანდაო.

— კარგი ლაჩარო, შეგეშინდა და თათრები მოგელანდა, მაგრამ აფიცრები გაიქცენ, მთავრობამ გაგვყიდა, რომ იძახოდი, განა ეს თუ წინასწარ არ ქონდა განზრახული საიდან მოგელანდაო?!—ეკითხებოდენ და გაგულისებით ეუბნებოდენ ჯარისკაცებიო“.

მართლაც, ჯერ კიდევ მოიძებნებიან ჯარში მზგავსი ელემენტები, მაგრამ მათ აღარ უჯერიან. გოგოლაძე თვით ჯარისკაცებმა დაატყვევეს.

მოხსენების შემდეგ დაიწყო შეკითხვები:

**შეკითხვა:** ამ რამოდენიმე ხნის წინეთ გერმანიიდან წერეთელმა კითხვა დააყენა, ამიერ-კავკასიამ დამოუკიდებულ სახელმწიფოთ გამოაცხადოს თავი და მას დაუტოვებენ ყარს-არდაგან-ბათუმის ოლქს და ამაზე მთავრობამ უპასუხა უარითო. რამდენათ მართალია ეს?

**პასუხი:** მართალია, იყო ასეთი ხმები. მას ქონდა დიპლომატიური ხასიათი. მაგრამ იქ არავითარ ყარსზე და ბათუმზე არ იყო ლაპარაკი. ისე კი, ასეთი ლაპარაკის უკან რაღაც იმალება და ეს ცხადია, გამოწვეულია იმით, რომ ვითომც მთავრობას დაუღუპავს ყარს-ბათუმი. ეს პროვოკატორების საქმიანობაა.

— მართალია! გაისმის ხმები.

**შეკითხვა:** მიღებული იყო თუ არა ზომები რუსეთის მთავრობა დაგვხმარებოდა თათრებთან ბრძოლაში?

**პასუხი.** ჩვენ მივმართეთ, მაგრამ სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე იოფესაგან მივიღეთ შემდეგი განმარტება. ჩვენ რაც მივეცით ბრესტში ოსმალოებს იქი ულაპარაკოთ დაუთმეთ, ე. ი. ყარსი, ბათუმი, არდაგანი. თუ ოსმალეთი მაინც იმას იქით წამოვა, თქვენ წინააღმდეგობა არ გაუწიოთ და შემდეგ საერთაშორისო დიპლომატიურ კონგრესზე ჩვენ პროტესტს განვაცხადებთო. ეს კი იმას ნიშნავს, ჯერ გაგანადგურებენ, თავს მოგჭრიან და შემდეგ ვოლიცა საყვედურს იტყვის.

— ეხ, ოჰ!—გაისმა ჯარისკაცთა შორის.

**შეკითხვა.** რატომ მოხდა, რომ სამხედრო მინისტრათ ვექილი გიორგაძე დანიშნეს და არა სამხედრო პირი?

**პასუხი.** ჩვენ გვინდა ხალხის სურვილებს ანგარიში გავუწიოთ, დანიშნეს ისეთი პირი, რომელიც პოლიტიკასთან გაცნობილია და მასთან დამცველია დემოკრატიზმის. სამხედრო საქმეებს ასრულებენ საგანგებოთ დანიშნული გენერალ-აფიცრები ევროპაში სამხედრო მინისტრათ ინიშნება ხშირათ არა სამხედრო პირი.

**შეკითხვა.** ამბობენ, გერმანია მოითხოვს ბათუმ-ბაქოს გზას ჯარების გადასაყვანათ ინგლისელების წინააღმდეგ. რამდენათ მართალია ეს?

**პასუხი.** ეგ პირველათ გვესმის. ჩვენ ამიერიდან ცალკე სახელმწიფო ვართ და არავის უფლება არ აქვს შელახოს ჩვენი ქვეყანა.

**შეკითხვა.** მოლაპარაკება თუ არა ზომები ომის გასაგრძელებლათ?

**პასუხი.** ჩვენ დავადგინეთ მოლაპარაკება და ამავე დროს დიდი სამზადისი. ყოველგვარი ზომები მიღებულია.

შეკითხვების შემდეგ დაიწყო მოხსენებები. პირველათ აღნიშნეს საერთოდ დისციპლინის შესახებ. ერთი ამხანაგი კითხულობს შვიდე პოლკის მეთერთმეტე როტის 7 აპრილის საერთო კრების შემდეგ დადგენილებას: „ვიღებთ რა მხედველობაში დღევანდელ კრიტიკულ მომენტს, ფიცს ვდებთ დავიცოთ „დისციპლინა“ და ავასრულებთ ყოველგვარ ბრძანებას უფროსებისას, რომელნიც არჩეული იქნებიან ჩვენი მიერ ნდობით აღჭურვილი ორგანიზაციებისაგან. მოღალატეები და პროვოკატორები უნდა დასჯილ იქმნან სასტიკათ. ხელს აწერენ თავმჯდომარე ნოე ამეჩხაძე და მდ. კ. ჭყონია“. განიხილება აგრეთვე დისციპლინის, მთავრობის, სამხედრო წესრიგის და სხ. საკითხები.

მოხსენებების დროს გამოირკვა მრავალი რამ, მაგრამ აქ აღვნიშნავ შემდეგს: ქესამე ბათალიონში ყოფილა კაპიტანი საკალინსკი. ეს საკალინსკი მეტად დიდმცოდნე კაცი, მაგარი სასმელის მოყვარული და სრულიად უცოდინარი. მისი ხელმძღვანელობით ბევრჯერ კინაღამ დაღუპულა როტა. ის არაფერს არ აქცევდა გარდა ქეიფისა, სადაც მიდიოდა, თან მიჰქონდა ტიკით ღვინო, არაყი და ყოველთვის მთვრალი იყო. 10 აპრილის ბრძოლის შემდეგ აღარ სჩანს. არ იციან—მოკლეს, ტყვეთ ჩავარდა თუ უგზო-უკვლოთ დაიკარგა. საყვედური გამოსთქვეს აგრეთვე პოლ. ადამაძეზე.

კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ის. რამიშვილისა ს. დ. ფრაქციის და სეიმის მოქმედების შესახებ, კრება იზიარებს ომისა და ზავის, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის, თავდაცვის შესახებ გამოტანილ დადგენილებებს და აღუთქვამს აქტიურ დახმარებას სეიმს, აგრეთვე მოვითხოვთ მთავრობისაგან მტკიცე სამხედრო ორგანიზაციას და მის მოწყობილებას ძლიერი ჯარის შესაქმნელათ“.

კრების შემდეგ ამხანაგებმა ჩვენთან კერძო საუბარი გამართეს და მერიის ხაზით წავედით ნატანებისაკენ.

საღამო იყო. გზა და გზა ჩვენ იმავე სურათს ვხვდებოდით, როგორც სხვაგან. საყანე ადგილები სრულიად მოუწმენდელია, არსად მუშაობა არ არის. სამაგიეროთ, სადარაჯოები, ჯარისკაცები გზებზე აქეთ—ჩვენები, იქით ერთ ვერსზე თათრები.

ჩვენ დავინახეთ ნაკვეთის ტყის ქვევით დაბურულ ტყეში რუსების ახალშენი. სულ რამოდენიმე წლის წინეთ გაშენებულ ორი სოფელი—ვოსკრესენსკაია და უსპენსკაია. ორივე სოფლის ხალხს სავსებით დაუტოვებია თავისი სოფელი ამ ორი თვის წინეთ და საღლაც გადახვეწილა, ვინ იცის, საით წაიღო ეს შეძრწუნებული ხალხი!..

დიდი ანაზარით დატოვებულ სოფლებს გვერდს „ნატანიკები“ დაპატრონებია.

8 საათზე ნატანებში გაიხსნა რაიონული კოლექტივის და რაიონ. საბჭ. შტაბის შეერთებული კრება. კრებაზე გამოირკვა, რომ ჯარისკაცებში არის ერთგვარი დაუკითხავი ნაბიჯების გადადგმა. აგრეთვე მოქმედებენ შიგ სხვადასხვა უპასუხისმგებლო პირები. ამის [illegible]

მდგომარეობა უნუგეშო და საშიშარია. ბათუმის დაცემის შემდეგ კრებებიც არ გამართულა. ზოგიერთი პარტიის წევრებიც ცუდათ იქცევიან. მეთაურებს საყვედურს ეუბნებიან. ნატანებში ორი „ლაზეკა“ ყოფილა და ეხლა 70 კაცი 20-ზე ჩამოსულა. ნატანებიდან ხალხი დახიზნულია. ჯარისკაცები ამბ ურებას ცდილობენ კერძო პირებზე.

ამ ნიადაგზე ამას წინეთ სუფსაში კინაღამ მოკლეს ბათ. ქალაქის თავი კოწია საბახტარიშვილი. საზოგადოებებში გამოჩნდნენ ისეთი პირები, რომლებიც არავის არ ემორჩილებიან ბათუმის დაცემის შემდეგ გაუმართავთ კერძო კრებები ორგანიზაციების საწინააღმდეგოთ. ომის გაგრძელების შესახებ აგიტაცია არ შეიძლება. უკმაყოფილებაა ჯარისკაცთა და გვარდიას შორის. სულიერი განწყობილება ეცემა. ბათუმის დაცემამდე იყო პროვოკაცია ეს-ერების და ბოლშევიკების. შემდეგ უფრო ისარგებლეს და არევ-დარევა შემოიტანეს. მაზრის მთავრობას პროტესტს უცხადებენ, რადგანაც არ სჩანს ჩვენს მხარეში. ცენტ. ორგანიზაციის მოქმედებაც ვერ არის და მაკმაყოფილებელი. მოითხოვენ ქალაქის თავის და ზოგიერთების გასამართლებას.

მოხსენებებიდან ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ მდგომარეობა დამაფიქრებელია.

10 მაისი. ანანია.

## კახეთის რკინის გზაზე

„სახალხო საქმის“ 14 მაისის ნომერში (230) ბ-ნ დამსწრე სოც.-ფედერალისტს უხელმოწერელი წერილი მოუთავსებია ჩემს წინააღმდეგ. ის ძალიან გაუკვირვებია და, რაც მოხსენებული გვაქვს, კიდეც აღუწერია ჩემი წერილი „ერთობა“-ში, რომელიც შეეხებოდა კახეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა კრებას ნავთლუღში. და მართლაც, თუ არა აღელვებული, დამწვიდებული ნერვების პატრონი ვერ დაწერდა ისეთ წერილს, როგორიც დამსწრეს დაუწერია. მას თვითონ შეუთხზავს ის, რაც მე არ მითქვამს და მისივე გამოგონილ ტყუილით თვითონვე აღელვებულა. ის აქ იწყებს: „ამ წერილმა დიდათ გამაკვირვა და აღმაღელვა, რადგანაც წერილის ავტორი ვლ. ბ—ძე ამბობს, ვითომც კახეთის რკინის სოც.-დემოკრატი მუშები გაფიცვის წინააღმდეგი იყვნენ და მხოლოდ სოც.-ფედერალისტი მუშა-მოსამსახურენი გაფიცვას უჭერდნენ მხარსო“. აი, თურმე, ამიტომ არ შეუძლია გაჩუმება დამსწრეს და სურს შეკითხული საზოგადოება შეცდომიდან გამოიყვანოს. მაგრამ მან თვითონვე შეიყვანა საზოგადოება შეცდომაში, როცა ის ჩემს ნათქვამს ამახინჯებს. ჩემს წერილში მე, სხვათა შორის, აღვნიშნე იმ სოციალ-ფედერალისტ მუშების საქციელი, რომელთაც ეროვნული ინტერესები მუდამ ენაზე აკერიათ და გაფიცვის მომხრე კი იყვნენ. ეს კი სულაც არ ნიშნავს იმას, რასაც დამსწრე ამბობს. რომ დამსწრეს ჩემი წერილი აუღელვებლათ წაეკითხა, ის ნახავდა, რომ იქ ლაპარაკია არა ს.-დემოკრატ და ს.-ფედერალისტებზე, არამედ საერთოდ მუშებზე და გაფიცვის კითხვაში ორ მიმდინარეობაზე.

დამსწრე სოც.-ფედერალისტი ამბობს: „სანამ საერთო კრება შესდგებოდა, ჩვენმა ამავე გზაზე მომუშავეთა სოც.-ფედ. მუშა-მოსამსახურეთა პარტიულმა კოლექტივმა მოახდინა წინასწარი კრება და ერთხმათ გადასწყვიტა, რომ გაფიცვისთვის მხარი არ დაეჭირათ, რადგანაც დღევანდელ პირობებში ეს მიუღებლათ მიაჩნდათ“. მერე და თუ ასეთი დადგენილება მართლა იყო, რათ არ აღიარეთ ის კრებაზე, რაღას უყურებდით? პირიქით, არც ერთ სოც.-ფედ. მუშას იმ კრებაზე გაფიცვის წინააღმდეგ კრინტიც არ დაუძრავს. კენჭის ყრის დროს კი იმ ს.-ფედ. მუშებმა, რომელთაც მე ვიცნობდი, ყველამ თავი აარიდეს გაფიცვის მოწინააღმდეგეთა ბანაკში. ხოლო იმ მოწინავე და პასუხისმგებლიანი მუშა ფედერალისტმა, რომელზედაც დამსწრე მოგვითხრობს (ს. ყირიმელაშვილი), თავი შეიკავა. ამის შემდეგ მგონია მქონდა უფლება მესაყვედურებია, სხვათა შორის, იმ ს.-ფედ. მუშებისათვის, რომელნიც სიტყვით მუდამ სამშობლოს დაცვას ჩემულობენ.

შემდეგ დამსწრე დაუსაბუთებელ ბრალდებებს იგერიებს კახ. რკ. გზის ც. კომიტეტის წინააღმდეგ და ამბობს: „შეიძლება ვლ. ბ—ძეს ეს შეუფერებელი ბრალდება იმიტომ დასჭირდა, რომ შეაშინოს ს.-ფედ. მუშები და ხმა ჩააწყვეტინოს, რომ მათ მოქმედებას კრიტიკა აღარ გაუწიონ“. ჩვენ მოხარული ვიქნებოდით, რომ თქვენ კრიტიკა მართლა შეგეძლებოდეთ. თქვენ ისე ამბობთ, თითქოს ს.-ფ. მუშები ჩვენ კრიტიკით გაგვწყვიტონ. მერე როდის დაგიძრავთ კრინტი ან კრებებზე, ან პრესაში? იმას ხომ არ ეძახით კრიტიკას, ც. კომიტეტის წინააღმდეგ რომ ჩუმათ, ზურგს უკან ჭორებს აგროვებთ? ასეთ „კრიტიკას“ ჩვენ ანუგეშებთ ჭორებს. მოხდა საერთო „სიეზდი“ და ცილისმწამებელნი სასტიკათ დამარცხდნენ. დღესაც ამოძრავდნენ ც. კომიტეტის წინააღმდეგ, მაგრამ ეხლა მარტო ჭორებით როდი კმაყოფილდებიან. ჯერ იერიში მიაქვთ რაიონულ კომიტეტებზე და ამით ცდილობენ მთავარი კომიტეტის დასუსტებას. და აი, ამ დროს დამსწრე სწერს: „. ც. კომიტეტმა ჩვენი ინტერესები ფეხქვეშ გასთელა, გამგეობას, რომელიც აწარმოებს, როგორც გზის, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა დამღუპველ პოლიტიკას, მხარში ამოუდგა და გამოილაშქრა ჩვენს წინააღმდეგ“. და ცოტა ქვევით ლაპარაკობს ც. კომიტეტის წევრების გამოცვლაზე, „როგორც საქმისთვის უვარგისებზე“ და სხვა. წინადადებას ვაძლევ ბ-ნ დამსწრეს დაამტკიცოს თავისი ნათქვამი, თუ არ უნდა მას ის ბედი ეწიოს, რაც სხვა ჭორიკანებს. რაც შეეხება იმ დეპეშას, რომელსაც თქვენ იხსენიებთ, ის იყო მიმართული იმათ წინააღმდეგ, ვისაც რევოლიუცია ფეხებზე ჰკიდია და, ვინც იძახდა—„მე თუ მოვკვდი, მერე ქვა ქვაზეც დაუღეპულაო“. აქვე უნდა შევნიშნო, რომ დეპეშის შინაარსი ისეთი არ იყო, როგორც ამას უკუღმართათ გადმოგვცემს დამსწრე და ც. კომიტეტმა ის დეპეშა გაგზავნა კრების შემდეგ და არა კრებამდის.

დასასრულ დამსწრე ს. ფედერალისტი მეკითხება: რომელ სამშობლოზე ელაპარაკობ მე, „ნუ თუ საქართველოზე? რადაც ეჭვი შემოდება. თუ სამშობლოს დამცველები იყავით, განა სამშობლოს დასაცავათ არ იყო წასული ბათუმში ს. ფედერალისტთა რაზმში მებრძოლი კონდუქტორი ი. სესიტაშვილი, რომ იქ წასვლა დაუნაშაულათ ჩაუთვალეთ და სამსახურიდანაც დაითხოვეთ და ბოლოს ძალდატანებით უკანვე მიიღეთ მხოლოდ მეისრეთ? განა სოც.-ფედ. მუშა ამხ. ს. ყირიმელაშვილის დროებითი განთავისუფლება საქართველოს დაცვის საჭიროებისათვის არა გთხოვეთ, რომ საჯეროვ უარი გვითხარით?“ როცა ვინმე, არა ს. ფედერალისტი, სამშობლოს დაცვაზე ლაპარაკობს, ს. ფედერალისტები მას ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებენ,—ჩვენ ეს დიდი ხანია ვიცით; მაგრამ როცა დამსწრე თავის ეჭვებს ასაბუთებს თავისივე შეთხზული ტყუილით, ეს მეტის მეტი უტიფრობაა. კონდუქტორი სესიტაშვილი ც. კომიტეტს არ დაუთხოვია, ის იმავე კონდუქტორია და თუ დამსწრეს აინტერესებდა ჭეშმარიტება და არა დემაგოგია, ამის გაგება ძნელი არ იყო.

რაც შეეხება ს. ყირიმელაშვილის განთავისუფლებას, უნდა მოვახსენო ბ-ნ დამსწრეს, რომ მან არ იცის საქმის ვითარება და ან არ სურს გაიგოს ის. ყირიმელაშვილს საჯეროვ აუხსნა ც. კ—ს თავმჯდომარემ, რომ მუშა-მოსამსახურის განთავისუფლება ხდება მხოლოდ მთავრობის მოთხოვნით. შეიძლება ყირიმელაშვილისთვის ამ ახსნამ უქმათ ჩაიარა, მაგრამ დამსწრეს უნდა ცოდნოდა, რომ რკინის გზის კომიტეტები პარტიის მოთხოვნით არავის არ ანთავისუფლებენ.

ვლ. ბ—ძე.

## პროვინცია

**გურია.** ამ დღეებში გურიაში მოჰკლეს ცნობილი შაჯრაზმელები: დეკანოზი დავით დუმბაძე, კოწია ბერიძე, გრიგოლ ქარცივაძე, ფირან გოგიბერიძე და ყაჩაღი ალექსანდრე დათუნაიშვილი. უკანასკნელის სიკვდილმა გამოიწვია რამდენიმე მისი ამხანაგი ჯარისკაცების ყაჩაღათ გავარდნა, ორი ძმა დათუნაიშვილების მეთაურობით. ეს „ბანდა“ ყოველგვარ უწესოებას ახდენდა პოზიციაზე ნეიტრალურ ხაზში და სიკვდილით ემუქრებოდა ორგანიზაციის ხელმძღვანელთ, მაგრამ ამ დღეებში ესენიც შეპყრობილი იქნენ და იარაღი ჩამოართვეს. მათი ხელმძღვანელები დათუნაიშვილები და სხვები, სულ 5 კაცი, გაგზავნილი იქნენ ქუთაისის საგუბერნიო ციხეში.

— გურიაში ენერგიულათ მოქმედობს რეაქციონერ-პროვოკატორების წინააღმდეგ გურიის თავდაცვის კომიტეტის საგანგებო პარტიზანული რაზმი ეფიც. ჯიბლაძის, ს. მათიათაიშვილისა და თ. მუხაშავრიას მეთაურობით. რაზმი 150 საიმედო ამხანაგებისაგან შესდგება და აქვს საჭირო სამხედრო მოწყობილობა.

ხ—ნ.

**ახალი-სოფელი** (გორის მაზრა). 16 აპრილს ახალ-სოფლის რაიონში მოვიდნენ ქ. გორიდან პროპაგანდისტები—ანტონ ბიბილოვი და კოსტა ჯებისაშვილი თფილისის საგუბერნიო კომიტეტის დავალებით. ჩვენ ახალ-სოფლის საზოგადოების უპირატესმა ნაწილმა მოვახდინეთ კრება, ჩვენი კომისარის თავმჯდომარეობით, სადაც ხსენებულმა პროპაგანდისტებმა ილაპარაკეს შემდეგ საკითხებზე: 1) ცხინვალში მომხდარ ამბების შესახებ, 2) ომი და ზავი, 3) სამხედრო ტრიბუნალი, 4) სოფლის პროვოკატორები, 5) მიწის საკითხი, 6) გაერ- [illegible]

იმ პროვოკატორ ხულიგნებს, რომლებმაც მოახდინეს ასეთი უბედურობა და ძმას ძმა მოაკვლევინეს და დღესაც შურსა სთესავენ ქართველებს და ოსებს შორის. მაგრამ ჩვენ დიდ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ქართველები და ოსები უფრო ძმურათ იცხოვრებენ დღეის შემდეგ, ვიდრე დღემდის და არ გავახარებთ ჩვენს მტრებს. 2) ნდობას ვუცხადებთ ამიერ-კავკასიის სეიმს და მზათა ვართ ყოველ წამში, სადაც დაგვიბარებს, როგორც გარეშე მტერთან საბრძოლველათ ისე შინაურ მტერთანაც. 3) ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლათ გამოცხადებას სამართლიანად ვსცნობთ, ვინაიდან ბოლშევიკების მთავრობამ ბრესტში ჩვენდა შეუკითხავად გადასცა ოსმალეთს ამიერ-კავკასიის ციხე-ქალაქები. 4) რადგანაც ჩვენ ჩვენი მეზობელ ხოვლელებთან მამულის თაობაზე უსიამოვნება გვახდება, სახელდობრ „საყვირე“ს მამულზე, ამისთვის მოვითხოვთ, რომ გორის მაზრის სადგილ-მამულო კომიტეტმა მიიღოს სასწრაფო ზომები, ამ ვადის ამ დღეებში და გაგვაგებინოს, თუ ვის ეკუთვნის ეს სადავო მამული. წინააღმდეგ შემთხვევაში უბედურება მოხდება ძმათა შორის. 5) რადგანაც ჩვენს ახლოს არიან წალკის ხეობის თათრები მთლათ შეიარაღებულნი და გვემუქრებიან, ამიტომ ვთხოვთ ჩვენს მთავრობას, რომ იარაღი მოგვაწოდოს ანდა თვით მიიღოს სასტიკი ზომები, რომ თათრებმა იარაღი აიყარონ.

ხელს აწერს კრების თავმჯდომარე გიორგი სააკაშვი და მდივანი მ. ჩახელი.

**ჯვარცხვის საზოგადოება** (გურია). აქ თითქმის არც ერთ დაწესებულებაში საქმე რიგიანათ არ არის დაყენებული. ახლანდელმა მდგომარეობამ ხომ მთლათ არივ-დარია ისედაც გაფუჭებული საქმეები. ეს საზოგადოება უწინ ორათ გაიყო: ერთი ნაწილი ბასილეთის საზოგადოებას მიაწერეს, ხოლო მეორე ჩოხატაურისას. შემდეგ კი ახალი კანონით ისევ ძველ კალაპოტში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ არას გზით არ იქნა ამ საზოგადოების შეერთება. ნახევარი ნაწილი მოიწერა ისევ ალსდგეს, მცირე ნაწილი დაიმალოს და აღნიშნულ საზოგადოებებს მიეწეროს. მათ არ იციან, სად რა აკეთონ. ეს ხელს უშლის საზოგადო საქმეებს. ამას მიეწერება ის უწესოებანი და უყურადღებობანი, რასაც ადგილი აქვს საზოგადოებაში. საზოგადოების კომისარი გადადგა, რადგან ფული არ მიუღია წლის, ხოლო საქმეებს ზოგჯერ მაინც კი ასრულებს. მწერალიც ამავე მიზეზების გამო, წავიდა. აირჩიეს თავდაცვის კომიტეტი, მაგრამ წევრთა უმრავლესობა ბრძოლის ველზე წავიდა, ხოლო ხელახალი არჩევნები არ ხდება. ძლიერ უწესოებას ახდენენ ფრონტიდან დაბრუნებული სალდათები სოლით, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს ვისგანაც ჯერ არს. ძლიერ საჭიროა, რომ გამგეობა ადგილობრივი კოოპერატივი „შეღავათის“ მოიწვევდეს წევრთა კრებას, რადგან ვაჭრობა ძლიერ სუსტათაა საყოველთაოდ და გასავალი კი ბევრი აქვს ოუქანს და რაიმე გზით შემოკლდეს ხარჯები, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში სულ ადვილათ შეიძლება კიდეც დალაფოს სული ამ დაწესებულებამ.

აქვე არსებობს სახელათ სამკითხველო, საქმით კი არა. მუდამ დაკეტილია და მასთან გაზეთებიც ვის მიაქვს, ალაჰმა უწყის.

ი. —ელი.

## ცნობები

იმ ხმების სიმართლის აღსადგენად, რომელიც გავრცელდა ხაშურში ხაშურის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრებზე, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ბრძოლაში ბათუმის აღების დროს. მე შემიძლია შემდეგი უტყუარი ცნობები მივაწოდო, როგორც ამხანაგებს, აგრეთვე მათ მშობლებსაც.

ამხ. ნ. ჯულელიდან მივიღე ბათუმიდან გამოგზავნილი წერილი 15 მაისს.

ნ. ჯულელი და მისი ძმა მიშა ტყვეთ წაუყვანიათ. ნიკო დაჭრილია ხელში, მიშა-კი ფეხში. ორთავე კარგათ არიან.

ბანდო ჰანტურაიას გამოუსწრია ბათომიდან და ახლა სამტრედიაში იმყოფება. კოლია სუხიაშვილი ტყვეთ არის ტრაპეზუნში.

ამხანაგი გთხოვს გადასცეთ მათ მშობლებს, რომ ისინი ცოცხლები არიან და კარგათ იმყოფებიან.

ვისაც რაიმე ცნობების გაგება უნდა მიმართონ შემდეგი მისამართით. Батумъ. Батумская городская управа. Въ санитарный отрядъ Николаю Джугели.

ხაშურის ახალგაზრდა მარქ. ორგ. თავმჯდომარე. გ. მიქაძე.

P. S. ვთხოვ ქუთათურ გაზ. „სოციალ დემოკრატს“ გადაბეჭდოს ეს წერილი გ. მ—ძე.

ჯარისკაცი რემინიზ გიორგის ძე ჩიტაიშვილი ოზურგეთის მაზრის ბახვის საზ. მცხოვრები მსახურებდა სპარსეთში „შერიფ-ხანაში“ ერობათა კავშირში, გთხოვთ თუ ვინმემ იცის მის შესახებ რაიმე აცნობოს ნატანებში ილიკო ლეჟავას.

## დაკარგე

17 მაისს, ავლაბარში ტრამვაის ვაგონიდან ჩამოსვლის დროს შემდეგი დოკუმენტები: მოწმობა წინამორა და ივლიტა გაბუნიას სახელზე მოცემული მღვდელი ჯავახაძისგან, ნებართვა მიცვალებულის ნახვის შესახებ—№ 2365 ორი მოწმობა ქ. თფილისში შესვლის შინ. და ივლიტა გაბუნიას სახელზე დაწერილი მოწმობა სამაზრო ექიმისგან ბერუკა გაბუნიას სახელობაზე და კარანტინში. მპოვნელს ვთხოვ დააბრუნოს შემდეგი მისამართით: მალაკნის ქ. № 29, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს.


## მე-4 რაიონის წითელ-გვარდიელთა შტაბი

დღეს, 21 მაისს, საღამოს 7 საათზე, შტაბის ბინაზე იწვევს მეოთხე რაიონის

## წითელ-გვარდიელთა საზოგადო კრებას.

წითელ-გვარდიელების დასწრება სავალდებულოა.

შტაბის პრეზიდიუმი.

21 მაისს, საღამოს 7 ნახ. საათზე

ქალაქის თვითმართველობის შენობაში სასურსათო განყოფილებისაგან დანიშნულია ქალაქის ყველა მომქმედ მომხმარებელთა საზოგადოებათა (კოოპერატ.) და აგრეთვე კოოპერატივების

## კავშირთა სხდომა

განსახილველი საგანი: საერთო ძალით საქონლის ყიდვა.

1—1 ქალ. გამ. სასურსათო განყოფილება.

## ქალაქი სურამი.

რადგან ქ. სურამი უკვე გაივსო ლტოლვილებით და სამხედრო პირებით, მეტად გაძნელდა სურსათ-სანოვაგის და სახლის შოვნა, ამიტომ სურამის ქალაქის გამგეობა სთხოვს ყველა მოაგარაკეთ და გამოქცეულთ არ მოვიდნენ, და თუ ეს აუცილებელი შეიქმნა იმ შემთხვევაში თან წამოიღონ პური, შაქარი და სხვა სანოვაგე.

ქალაქის თავი ზ. ლ. ხიდირბეგი. გამგეობის წევრი და მდივანი გ დგებიანცი.

## ნავთი

თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ხუთშაბათს, 23 მაისიდან დილის 9 საათზე თფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში (რტიშჩევის და ბებუთოვის ქ ქ კუთხე) დაიწყება ნავთის ორდერების გაცემა რაიონულ და სახლის კომიტეტებზე. სახლის კომიტეტებს ნავთი მიეცემა არა ნაკლებ 10 ფუთისა სასურსათო ტალონების წარდგენის შემდეგ. ახალი სასურსათო ბარათების ტალონები კანონიერად ჩაითვლება „1—10 აპრილიდან.“ ნავთის მიღება შეიძლება აგრეთვე ძველი სპეციალური ნავთის ბარათების ყველა ჯერ მოუხმარებელი ტალონებით.

რაიონულ კომიტეტებს, რომლებსაც უწინ მიუღიათ ნავთი, ორდერები მიეცემათ, სასურსათო განყოფილების მოანგარიშის ან და საუბნო სასურსათო კომიტეტისაგან ხელმოწერილი საკონტროლო უწყების წარდგენის შემდეგ.

მოქალაქენო შეკავშირდით სახლის, რაიონულ და ბინის კომიტეტებში! თქვენ ამით გაიადვილებთ სურსათის მიღების საქმეს.

(1—1) ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

## ე. ნ. მისტროვის სახელობის სასადილო

## „სოიუზ-კოოპერატივის“

საზოგადოებისა გაიხსნება 23 მაისს ახალი ხელით გრიბოედოვის ქუჩა № 7.

[illegible]

## შალი

[illegible]

2—2